განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: სოკრატის კათსიკასი, კვიპროსის ღია უნივერსიტეტი, კვიპროსისა და ნორვეგიის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის უნივერსიტეტი, ნორვეგია

წევრები:

ლია ღლონტი, ეროვნული ტემპუსის ოფისი/ეროვნული ერაზმუს+ ოფისი, საქართველო

ირინე დარჩია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ექსპერტი, საქართველო

ლილი შატბერაშვილი-გოგიაშვილი, ბრემენის უნივერსიტეტი, ექსპერტი, გერმანია

მაია შიშნიაშვილი, შპს ინოვა, ექსპერტი დამსაქმებელი, საქართველო

ავთანდილ თავხელიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ექსპერტი, საქართველო

გიორგი ქურდიანი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, ექსპერტი სტუდენტი

2018

წელი

ავტორიზაციის ანგარიშის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (სტუ) წარმოადგენს საქართველოს მთავარ და უდიდეს ტექნიკურ უნივერსიტეტს. იგი მდებარეობს ქალაქ თბილისში დაარსდა 1922 წელს, როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტი. დამოუკიდებელ „საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტად" იგი ტრანსფორმირდა 1928 წელს, ხოლო მოგვიანებით 1990 წელს მოიპოვა უნივერსიტეტის სტატუსი. იგი შედგება 12 ფაკულტეტის, 72 კათედრისა და 15 კვლევითი ინსტიტუტისაგან. ფაკულტეტების უმეტესობა ტექნოლოგიებზეა ორიენტირებული, ორი ფაკულტეტით (სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი და საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიების და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი), რომლებიც მოიცავენ არატექნიკურ დისციპლინებს. სტუ-ში დასაქმებულია 4.609 ადამიანი (1.165 აკადემიური, 363 სამეცნიერო, 1.156 აფილირებული აკადემიური, 1.178 მოწვეული პერსონალი და 2.260 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი) და სთავაზობს 170 საგანმანათლებლო პროგრამას (69 - საბაკალავრო, 58 - სამაგისტრო და 42 სადოქტორო) 22.516 აქტიურ სტუდენტს (18.964 ბაკალავრს, 2.267 მაგისტრანტს და 1.285 დოქტორანტს) ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე, მისი საერთო ბიუჯეტი შეადგენს 69,467,144 ლარს. კვლევებისათვის გამოყოფილი ბიუჯეტი შეადგენს 12,684,185 ლარს, ხოლო ბიბლიოთეკის ოპერირებასა და განვითარებაზე - 186,000 ლარს.

საავტორიზაციო შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა: თვითშეფასების ანგარიში და ვიზიტი

სტუ-ს რექტორმა 01.12.2017 წელს გამოსცა ბრძანება N228, რომლის თანახმადაც სტუ-ს ყველა ერთეული ჩაერთო თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში. ავტორიზაციის თითოეულ სტანდარტზე და მის კომპონენტზე განპირობებულ იქნა პასუხისმგებელი სამსახური. იმავდროულად, რექტორის 25.12.2017 წლის N249 ბრძანების საფუძველზე ჩამოყალიბდა ავტორიზაციის სტატუსის მაძიებელთა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შევიდა სტუ-ის ხელმძღვანელობისა და მენეჯმენტის 15 წარმომადგენელი. თვითშეფასების ჯგუფმა მოამზადა თვითშეფასების ანგარიში, რომელიც წარედგინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, ხოლო შემდეგ გადაეცა ექსპერტთა ჯგუფს. თვითშეფასების პროცესი უნდა იყოს უფრო გახსნილი, გაჭვირვალე, ინკლუზიური და ანალიტიკური, სხვადასხვა შიდა და გარე დაინტერესებუ

ლ მხარეთა რეალური და არა ფორმალური მონაწილეობით. თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა ყოფილიყო უფრო ყოვლისმომცველი და ზუსტი. ადგილზე ვიზიტი დაიწყო 09.07.2018 წლის შუადღეს ჯგუფის მიერ სტუ-ს ადგილსამყოფელის მონახულებით და გაგრძელდა 10.07.2018, 11.07.2018 და 12.07.2018 წელს სტუ-ს ხელმძღვანელობასთან, მენეჯმენტთან და პერსონალთან ჯგუფის გასაუბრებით. უკანასკნელი ინტერვიუ ჩატარდა 13.07.2018 წელს დილით და მას მოჰყვა ექსპერტთა ჯგუფის მიერ 4 საათიანი განხილვა, რომლის დროსაც ექსპერტთა ჯგუფის წევრების უმრავლესობა შეთანხმდა სტუ-ის ავტორიზაციის სტანდარტებთან და მათ კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასებაზე. #3 და #6 სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების საკითხზე განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა ექსპერტმა ლ. ღლონტმა, ითხოვდა რა „ნაწილობრივ შესაბამისობას" 3.1. კომპონენტში, „მეტწილად შესაბამისობას" 6.2. კომპონენტში და „არ შეესაბამებას" 6.3. კომპონენტში. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნების მოკლე მიმოხილვა ჯგუფის თავმჯდომარემ პირველ რიგში გააცნო სტუ-ს ხელმძღვანელობას, ხოლო შემდეგ სტუ-ს ფართო აუდიტორიას. ადგილზე ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფს თან ახლდნენ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგემლები ლაშა მარგიშვილი და თინათინ დვალიშვილი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

სტუ აღმოჩნდა მეტწილად შესაბამისობაში ავტორიზაციის სტანდარტებთან, გარდა #2 (ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა) და #7 (მატერიალური, საინფორმაციო და საბიბლიოთეკო რესურსები) სტანდარტებისა, რომლებშიც იგი შეფასდა „ნაწილობრივ შესაბამისად". სტუ აღმოჩნდა სრულ შესაბამისობაში სტანდარტის 3 კომპონენტთან (2.3, 6.2 და 7.3), მეტწილად შესაბამისობაში 8 კომპონენტთან (1.1, 3.1, 3.2, 4.2, 5.1, 5.2, 6.1 და 7.2) და ნაწილობრივ შესაბამისობაში 8 კომპონენტთან (1.2, 2.1, 2.2, 3.3, 4.1, 6.3, 7.1 და 7.4). არც ერთ კომპონენტში სტუ არ იქნა მიჩნეული შეუსაბამოდ სტანდარტთან.

რეკომენდაციები

- ხელახლა განსაზღვრეთ სტუ-ს მისიის განაცხადი, რათა მიუთითოთ სტუ-ს როლი ადგილობრივად ან საერთაშორისო მასშტაბით და ასხოთ მისი განმასხვავებელი მახასიათებლები იმისათვის, რომ საზოგადოებას და ყველა დაინტერესებულ მხარეს მიეცეს საშუალება მკაფიოდ გაიდოს თუ რას წარმოადგენს სტუ.
- განიხილეთ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რათა დარწმუნდეთ, რომ ორგანიზაცია აგროვებს და აანალიზებს ყველა შესაბამის მონაცემს.
- სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმის მიზნებისათვის, შეიმუშავეთ გაზომვადი, დროში გაწერილი ამოცანები და გამოყავით რესურსები კონკრეტული ქმედებებისათვის.
- ყველა ორგანიზაციული ერთეულისათვის შეიმუშავეთ დეტალური სამოქმედო გეგმა.
- შეიმუშავეთ და აამოქმედეთ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების მონიტორინგის წესები და პროცედურები.
- გადახედეთ ორგანიზაციულ სტრუქტურას მისი ეფექტურობისა და ეფექტიანობის გაზრდის თვალთახედვით, მათ შორის შესრულებულ სამუშაოსთან მიმართებაში ადამიანური რესურსების რაციონალიზაციის კუთხით და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებისა და ვალდებულებების გადანაწილებით, რათა თავიდან იქნას აცილებული კომპეტენციებისა და მოვალეობების გადაფარვა და ძალისხმევის დუბლირება.
- შეიმუშავეთ გეგმა ან გეგმების კომპლექტი, რომელიც უზრუნველყოფს სტუ-ს ძირითადი საქმიანობის პროცესების უწყვეტობას. ეს გეგმები უნდა ითვალისწინებდეს ყველა შესაძლო რისკს, მათი პრევენციის მექანიზმებს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი პრევენცია შეუძლებელია, ჩამოაყალიბეთ მათი შემცირების სტრატეგია.
- შეიმუშავეთ და გამოიყენეთ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების შედეგები უნივერსიტეტის მართვის პროცესში, რომ ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებები სათანადოდ იზიარებდეს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის შედეგებს.
- გამოიყენეთ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები სისტემატურად, რეგულარულად და პერიოდულად.
- მოახდინეთ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებასთან დაკავშირებული პროცესების ოპტიმიზაცია.
- უზრუნველყავით სტუდენტთა კვლევის პროცესის ანონიმურობა და აცნობეთ სტუდენტებს მიღებული ზომების შესახებ.
- მოახდინეთ არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების კონსოლიდაცია და დაამატეთ მათ ყველა საჭირო დამატებითი მექნიზმი, რათა ჩამოაყალიბოთ ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო, რომელიც სრულად და ზუსტად აღწერს სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას.
- შეიმუშავეთ სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისა და სათანადო მექნიზმების გაუმჯობესების მეთოდოლოგია.
- თვითშეფასების პროცესი უნდა იყოს უფრო გახსნილი, გაჭვირვალე, ინკლუზიური და ანალიტიკური, სხვადასხვა შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეთა რეალური და არა ფორმალური მონაწილეობით. თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა იყოს უფრო ყოვლისმომცველი და ზუსტი.
- პროგრამის შეფასებაში ისარგებლეთ PDCA ციკლით, გაითვალისწინეთ პროგრამის საგნობრივ- სპეციფიკური მახასიათებლები და რესურსების ხელმისაწვდომობა (როგორც ადამიანური, ისე მატერიალური).
- უზრუნველყავით პედაგოგთა მომზადება სწავლებისა და შეფასების მეთოდებში და ამისათვის გამოიყენეთ პროფესიული განვითარების ცენტრის რესურსები.
- უზრუნველყავით სასწავლო პროგრამები ადეკვატური ინფრასტრუქტურით.
- უზრუნველყავით სასწავლო პროგრამები ადეკვატური ფინანსური რესურსებით, განსაკუთრებით მათი კვლევითი კომპონენტები.
- გადახედეთ სასწავლო მასალებს სილაბუსებში, განსაკუთრებულით მოძველებულ ლიტერატურასა და სწავლების ენას.
- გადახედეთ სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის მოცულობას მიწოდებული სასწავლო მასალების შესაბამისად.
- უზრუნველყავით, რომ სტუ-ს ყველა დაინტერესებული მხარე იცნობდეს შეფასების გასაჩივრების პროცედურებს.
- ისარგებლეთ PDCA ციკლით შეფასების სისტემაში და საჭიროების შემთხვევაში შეიტანეთ ცვლილებები.
- შეიმუშავეთ სტუდენტებისათვის გამოხმაურების სისტემა იმ მიზნით, რომ უზრუნველყოთ უკეთესი აკადემიური მოსწრება და შეფასების სისტემის გამჭვირვალობა.
- შეიმუშავეთ მაღალ-კვალიფიციური ახალგაზრდების აკადემიურ და სამეცნიერო პოზიციებზე რეკრუტირების სტრატეგია.
- დაადგინეთ პერსონალის - როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული - სავალდებულო და რეგულარული გადამზადების მკაფიო წესები.
- შეიმუშავეთ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციების, პერსონალის კმაყოფილებისა და საჭიროებების, სწავლებისა და კვლევითი აქტივობების შეფასების სისტემატური და კარგად განსაზღვრული გეგმა და განახორციელოს ამ გეგმის შესრულების მკაცრი მონიტორინგი.
- აკადემიური, აფილირებული და მოწვეული პერსონალი უკეთ უნდა იყოს ინფორმირებული ბოლონიის წესებზე დაფუძნებულ დატვირთვის რეგულაციებზე.
- სტუ-მ უნდა შეარჩიოს ერთი საკონტაქტო პირი ან სტრუქტურული ერთეული, რომელიც იქნება პასუხისმგებელი კარიერული ხელშეწყობის სერვისებზე, დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან

კომუნიკაციაზე, და სტუდენტთა დახმარებაზე სათანადო სამსახურის მოძიებაში.

- გააუმჯობესეთ სტუ-ს ცხრილებიდა გახადეთ ინფორმაციახელმისაწვდომი როგორც ინგლისურ, ასევე რუსულ ენაზე.
- ჩაატარეთ სტუდენტებში ანონიმური კვლევები.
- დაიწყეთ სტიპენდიების თაობაზე რიგი პროცესების ფორმალიზება და შექმენით სტანდარტი, რომელიც იქნება საჯარო, ყველასათვის ერთნაირად ხელმისაწვდომი და მისცემს თანაბარ შესაძლებლობებს როგორც ქართველ, ისე საერთაშორისო სტუდენტებს.
- მოახდინეთ სადოქტორო დისერტაციის დაცვისა და ხარისხის მინიჭების პროცესის რეორგანიზაცია. მნიშვნელოვნად გაზარდეთ სადისერტაციო საბჭოს წევრთა რაოდენობა და გარე წევრების მონაწილეობა გახადეთ სავალდებულო. სადოქტორო დისერტაციის დაცვა უნდა ხდებოდეს სადისერტაციო კომიტეტის წინაშე, რომელშიც უნდა შედიოდეს გარე ექსპერტებიც. სადისერტაციო ნაშრომი უნდა მტკიცდებოდეს არა მხოლოდ შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს მიერ, არამედ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს, ან რომელიმე სხვა ცენტრალური ერთეულის მიერ.
- განათავსეთ აკადემიური და კვლევითი პერსონალის CV და პუბლიკაციების სია ვებ-გვერდზე.
- ორგანიზება გაუკეთეთ Google Scholar პროფილის შექმნას კვლევითი პერსონალისათვის.
- აღნიშნეთ ჟურნალის იმპაქტ-ფაქტორი (Scopus იმპაქტ-ფაქტორი ან ISI იმპაქტ-ფაქტორი) სტუ-ს მონაცემთა ბაზის კვლევითი სტატიების ბიბლიოგრაფიულ აღწერაში (http://science.gtu.ge/).
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები უნდა განახლდეს მატერიალური რესურსების გათვალისწინებით.
- უნდა ჩატარდეს თითოეული შენობის საჭიროებების შეფასება ავტორიზაციის 7.1. სტანდარტის კრიტერიუმებთან მათი შესაბამისობის იდენტიფიცირების მიზნით.
- განახლებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები უნდა აწვდიდეს დაინტერესებულ მხარეებს მკაფიო სტრატეგიულ ხედვას, გრაფიკსა და ფინანსურ გათვლებს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების თაობაზე.
- უფრო ეფექტური ზომები უნდა იქნეს გატარებული იმ ხარვეზის შესავსებად და ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის მისაღწევად, რომელიც საჭიროებს ნაკლებ ფინანსურ რესურსებს.
- ბიბლითეკის „სამკითხველო დარბაზის“ პერსონალი უნდა გადამზადდეს საერთაშორისო საბიბლიოთეკო მონაცემთა ბაზების სარგებლობის საკითხებში.
- უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების ადმინისტრაციების მიერ მიღებულ უნდა იქნეს სპეციალური ზომები აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის, ისევე როგორც სტუდენტების ცნობიერების ამაღლებისათვის საერთაშორისო საბიბლიოთეკო მონაცემთა ბაზების გამოყენებაში.
- სტუდენტთა და პერსონალის კვლევები, ფოკუს-ჯგუფები უნდა იქნეს ორგანიზებული იმისათვის, რომ გაიზომოს სტუდენტთა და პერსონალის კმაყოფილება საბიბლიოთეკო მომსახურებების განვითარებით. შეფასების შედეგები უნდა იქნეს გამოყენებული სტრატეგიული დაგეგმვისა და ხარისხის კულტურის განვითარებისათვის.
- უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმა საჭიროებს გადახედვას, რათა შეტანილ იქნეს დაგეგმილი აქტივობების ფინანსური გათვლები, ისევე, როგორც შესრულების ძირითადი მაჩვენებლები.
- ეფექტური და ეფექტიანი რისკების მენეჯმენტის სისტემა უნდა იქნეს შემუშავებული და განხორციელებული.
- საგანმანათლებლო და სამეცნიერო აქტივობების პრიორიტეტული სფეროები უნდა იქნეს იდენტიფიცირებული არსებული ფინანსური რესურსების გათვალისწინებით.

რჩევები

- სტუ-ს აქვს ბევრი მიზანი. მათი განხორციელება საჭიროებს უზარმაზარ ადამიანურ და ფინანსურ რესურსებს. პრიორიტეტების დადგენა შესაძლოა იყოს ერთ-ერთი გამოსავალი ამ საჭიროებების შესამცირებლად.
- სტუ-ში გასაუმჯობესებელია ხარისხის კულტურის განვითარება.
- პლაგიარიზმის პრევენციის მიზნით მისაღებია ზომები.
- აკადემიური პერსონალის საარჩევნო კომიტეტებში უნდა შედიოდეს სტუ-ს ზოგიერთი წევრი.
- პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ჩატარებული სწავლების მეთოდების შესახებ კურსები უნდა გადაიხედოს და განახლდეს რეგულარულად.
- გადახედეთ აფილირების წესის მკაცრ რეგულაციებს იმ მიზნით, რომ მიეცეთ კანდიდატებს მეტი მოქნილობის შესაძლებლობა მათი შრომითი ურთიერთობების აწყობაში.
- აკადემიური, აფილირებული და მოწვეული პერსონალის დატვირთვის განაწილება უნდა განახლდეს ყოველ სემესტრში.
- სტუ-მ უნდა შემოიღოს ახალი მეთოდები, რომლებიც შეამცირებს სტატუს-შეჩერებულ სტუდენტთა რა ოდენობას. ფინანსური დახმარება და/ან სტიპენდიები შესაძლოა იყოს ერთ-ერთი ძირითადი შესაძლებლობა. როგორც ქართველი, ისე უცხოელი სტუდენტები უნდა იყვნენ უფლებამოსილნი ამ სტიპენდიების მიღებაზე.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები უნდა იყოს გამონაკლისის სახით, შერჩეული მცირე რაოდენობით სტუდენტებისათვით და არა ხშირი/საერთო პრაქტიკა, შეთავაზებული უნივერსიტეტის დიდი რაოდენობით სტუდენტებისათვის.
- განსაზღვრეთ უფრო მკაფიოდ „მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალის“ მნიშვნელობა და ზოგადად, მოთხოვნები სადოქტორო ნაშრომების მიმართ.

- გაზარდეთ ქართველ მეცნიერთა მონაწილეობა სტუ-ს მიერ ორგანიზებულ კონფერენციებში და ზოგადად. დარწმუნდით, რომ მოგზაურობაზე ფინანსირება წარმოდგენილია შიდა და სხვა საგრანტო პროექტებში და ასევე, კვლევითი ინსტიტუტების ბიუჯეტებში.
- ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სამსახური უნდა იქნეს მოდერნიზებული. ინტელექტუალური საკუთრების პატრონის (ჩვეულებისამებრ უნივერსიტეტის) და გამომგონებლის პროცენტული წილები უნდა იყოს განსაზღვრული ინდივიდუალურ კონტრაქტებში აკადემიურ და კვლევით პერსონალთან.
- კარგი იქნებოდა თუ სტუ ჩართავს მეტ ახალგაზრდა აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს კვლევებსა და განვითარებაში.
- ცენტრალური ბიბლიოთეკოს კომპიუტერები ნელია. ისინი 8 წლისაა და საჭიროა მათი გამოცვლა, ნაწილობრივ მაინც.
- თანდართულ ფაილებსა და უნივერსიტეტის ვებ-გვერდებზე არსებული ინფორმაციის მნიშვნელოვანი ნაწილი არ იყო წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშში. შესაბამისი ვებ-გვერდები არ იყო მითითებული. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს თვითშეფასების ანგარიშის შედგენას.
- რუსულენოვან სტუდენტებთან ეფექტური კომუნიკაციის მიღწევისა და სასწავლო პროცესის მენეჯმენტის ხარისხის გაზრდის მიზნით, შეთავაზებულ იქნა უნივერსიტეტის რუსულენოვანი ვებ-საიტის შექმნა.
- საქართველოში 70-მდე ავტორიზებული უმაღლესი სასწავლო დაწესებულებაა და ყველა მათგანი საჭიროებს ავტომატიზებულ ელექტრონულ სისტემას სასწავლო პროცესის მენეჯმენტისათვის. სტუ-ს პერსონალის წარმომადგენლებმა შესაძლოა განიხილონ მათ მიერ უკვე შემუშავებული და უნივერსიტეტში დანერგილი ელექტრონული სისტემის კომერციალიზაციის საკითხი.
- უნივერსიტეტის პერსონალისა და ადმინისტრაციის მხრიდან მცირე დამატებითი ძალისხმევით, ადგილობრივი პროფესორებისა და მეცნიერების მიერ შესრულებული მეტი პროდუქტი და გამოყენებითი კვლევები შეიძლება იქნეს კომერციალიზებული.

საუკეთესო პრაქტიკა

- სტუ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებასა და ცოდნის გავრცელებაში. ამ მიზნით სტუ უზრუნველყოფს რიგი მომსახურებებით, კონსულტაციებითა და ექსპერტიზით ბიზნეს და სახელმწიფო ორგანიზაციებს, ასევე, სთავაზობს სასწავლო პროგრამებს. უნდა აღინიშნოს, რომ სტუ-ს ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულებაა კვლევითი მუშაობის კომერციალიზაცია ადგილობრივ და საერთაშორისო ბიზნესის წრეებთან და სახელმწიფო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მეშვეობით. ეს, სტუ-ის საქმიანობის კარგი მაგალითია ცოდნის გავრცელებისა და სამეცნიერო მუშაობაში შენატანით საზოგადოების განვითარების მიმართულებით.
- სტუ-ს აქვს ხანგრძლივი თანამშრომლობა ძირითად სატელეკომუნიკაციო, ენერგეტიკის, ენერგო-სადიტრიბუციო, მეტალურგიულ, სამთო, სოფლის მეურნეობისა და საქართველოს სხვა კომპანიებთან. ამ კომპანიების მენეჯმენტთან ინტერვიუებმა ნათლად აჩვენა მათი ერთგულება სტუ-ს, როგორც მათი მთავარი პარტნიორისადმი, ტექნიკური ექსპერტიზისა და პერსონალის ტრეინინგის სფეროში. ამავდროულად, ეს კომპანიები წარმოადგენენ სტუ-ს კურსდამთავრებულთა ძირითად დამსაქმებლებს.
- სტუ-ს გააჩნია სტატიების, პატენტებისა და საგრანტო პროექტების კარგად ორგანიზებული საძიებო მონაცემთა ბაზა, სამეცნიერო ინსტიტუტების, ავტორთა გვარების, თარიღების და ა.შ. მიხედვით.
- კვლევებსა და განვითარებაზე სტუ უზრუნველყოფს შიდა გრანტებს 2 მილიონზე მეტი ლარის ოდენობით ყოველწლიურად.
- სტუ-ს აქვს ხანგრძლივი სტრატეგიული თანამშრომლობა მსოფლიო კლასის კვლევით ცენტრებთან, როგორებიცაა Juelich Research Center (იულიხი, გერმანია), ნაწილაკების ფიზიკის კვლევითი ცენტრი CERN (ჟენევა, შვეიცარია) და JINR (დუბნა).
- სტუ მონაწილეობს ბევრ საერთაშორისო დაფინანსებულ კვლევით პროექტში.
- იულიხის კვლევითი ცენტრის 20 პროფესორი რეგულარულად სტუმრობს სტუ-ს და ატარებს საშემოდგომო ლექციებს სტუ-სა და საქართელოს სხვა უნივერსიტეტების სტუდენტებისათის. რეგულარულად ტარდება ვორქშოპები „საქართველო-გერმანიის სამეცნიერო ხიდის“ პროექტის ფარგლებში.

სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან უსდ-ს შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.	**უსდ-ს მისია და სტრატეგიული განვითარება**	☐	☒	☐	☐
1.1	უსდ-ს მისია	☐	☒	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☐	☒	☐
2.	**უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა**	☐	☐	☒	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☐	☒	☐
2.2	შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები	☐	☐	☒	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☒	☐	☐	☐
3.	**საგანმანათლებლო პროგრამები**	☐	☒	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების დიზაინი და შემუშავება	☐	☒	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	☒	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	☐	☒	☐
4	**უსდ-ის პერსონალი**	☐	☒	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☐	☐	☒	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☐	☒	☐	☐
5	**სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები**	☐	☒	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების და შეცვლის, განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☐	☒	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☒	☐	☐
6	**კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა**	☐	☒	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☒	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☒	☐	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	☐	☒	☐
7	**მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები**	☐	☐	☒	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	☐	☒	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☐	☒	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	☐	☒	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. სოკრატის კაციკასი

2. ლიკა ღლონტი

3. ირინე დარჩია

4. ლილი შატბერაშვილი

5. მაია შიშნიაშვილი

6. ავთანდილ თავხელიძე

7. გიორგი ქურდიანი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ს მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (სტუ) არის მრავალპროფილიანი, დიდი უნივერსიტეტი. მისი მისიის განაცხადი ფართოა და ასახავს მის ძირითად სფეროებს სასწავლო და სამეცნიერო კვლევაში, ისევე, როგორც მის როლს ეკონომიკისა და საზოგადოების საჭიროებებზე ფოკუსირებული პროფესიონალების ჩამოყალიბებაში. იმავდროულად, მისი მისიის განაცხადს აკლია ინფორმაცია უნივერსიტეტის როლზე ადგილობრივად და/ან საერთაშორისო მასშტაბით. უფრო მეტიც, მისიის განაცხადი არ აწვდის მკითხველს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა განასხვავებს სტუ-ს იგივე სიდიდის სხვა ტექნიკური უნივერსიტეტებისაგან. ინტერვიუების მსვლელობაში ჯგუფმა გაარკვია, რომ სტუ-ს ხელმძღვანელობა ახდენს ორგანიზაციის განსხვავებული თვისებებისა და მახასიათებლების იდენტიფიცირებას და გააჩნია სტუ-ს განვითარების პერსპექტივების კარგად განვითარებული ხედვა. ხელმძღვანელობის მიერ გაზიარებული ხედვა გულისხმობს უსდ-ს შემდეგ განსხვავებულ მახასიათებლებს: • სტუ ცდილობს გააძლიეროს გამოყენებითი მეცნიერებების მიმართულება; • იდენტიფიცირებულია ოთხი სვეტი - სწავლა, ინოვაცია, მეცნიერება, წარმოება; • მულტიდისციპლინური სწავლის განვითარება. სტუ-ს ხელმძღვანელობის მიერ აღწერილი და შემდეგ მენეჯმენტისა და პერსონალის მიერ დადასტურებული, ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა სტუ-ს საქმიანობის კომერციალიზაცია, საკონსულტაციო და ექსპერტული მომსახურებების გაწევით; ექსკლუზიური და უაღრესად ინოვაციური პროდუქციის წარმოება აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მიერ; და კვლევები და ინოვაციები ბიზნესებისა და სამთავრობო ორგანიზაციებისათვის. ინტერვიუების განმავლობაში ექსპერტთა ჯგუფის დაკვირვებით უსდ-ს საზოგადოება განასხვავებს სტუ-ს განმასხვავებელ მახასიათებლებს და იზიარებენ მის ხედვას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • მისიის განაცხადი. • ინტერვიუები ხელმძღვანელობასთან. • ინტერვიუები მენეჯმენტთან და პერსონალთან.
რეკომენდაციები: • ხელახლა განსაზღვრეთ სტუ-ს მისიის განაცხადი, რათა მიუთითოთ სტუ-ს როლი ადგილობრივად ან საერთაშორისო მასშტაბით და ასხოთ მისი განმასხვავებელი მახასიათებლები იმისათვის, რომ საზოგადოებას და ყველა დაინტერესებულ მხარეს მიეცეს საშუალება მკაფიოდ გაიდოს თუ რას წარმოადგენს სტუ.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 სტრატეგიული განვითარება

- უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი).
- უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას.
- უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუ-ს გააჩნია სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. მეთოდოლოგია გულისხმობს მისიის, ხედვისა და სტრატეგიის დაკავშირებას; სიტუაციურ ანალიზს; სტრატეგიული პრიორიტეტების იდენტიფიცირებას და მიზნების დასახვას.

სტრატეგია შემუშავებულ იქნა მითითებული მეთოდოლოგიის საფუძველზე. თავის სტრატეგიული განვითარების გეგმაში სტუ წარმოადგენს სიტუაციურ და SWOT ანალიზებს.

სტრატეგიული დაგეგმვის მიზნით სტუ აგროვებს შიდა მონაცემებს, სტატისტიკას, კონკურენტი უნივერსიტეტების მიღების ინფორმაციას და ახორციელებს კვლევებს იმპორტ-ექსპორტის მონაცემების, მთავრობის პოლიტიკის და სხვ. საკითხებზე. უნდა აღინიშნოს, რომ სტუ თავად არ ახორციელებს სიღრმისეულ ხარისხობრივ და რაოდენობრივ კვლევებს. ხელმძღვანელობა ამას მიიჩნევს უსარგებლოდ, რადგან „სტრატეგიული დაგეგმვისათვის საჭირო მთელი ინფორმაცია ხელმისაწვდომია“. შესაძლოა სიმართლეა, რომ ყოვლისმომცველი დაგეგმვისათვის საჭირო ინფორმაცია ხელმისაწვდომია, მაგრამ მონაცემთა შეგროვების მეთოდები უნდა იქნეს განხილული და შეცვლილი, რადგან მიმდინარე სამუშაოების შედეგები არ არის დამაკმაყოფილებელი. განსაკუთრებით, ჯგუფმა შენიშნა, რომ თავისი სტრატეგიული დაგეგმვის მიზნით სტუ-ს იდენტიფიცირებული აქვს მხოლოდ ერთი საფრთხე, კერძოდ "თანამედროვე ევროპული სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურის სიმწირე, ძირითადი დაფინანსების არარსებობისა და დაბალი პროგრამული დაფინანსების გამო". უაღრესად კონკურენტულ ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე, უჩვეულოა ასეთი სიტუაციის ნახვა. ინტერვიუების მსვლელობისას ჯგუფმა შენიშნა, რომ მენეჯმენტი და პერსონალი ხედავს არსებულ დამატებით ბარიერებსა და საშიშროებებს და მათ ზეგავლენას სტუ-ზე, თუმცა ისინი არაა აღწერილი სტრატეგიული განვითარების გეგმაში. ერთი მაგალითი ასეთი საშიშროებისა, როგორც ეს დასახელდა უსდ-ს წარმომადგენლების მიერ, არის საქართველოს სკოლებში განათლების დაბალი ხარისხი, რომლის შედეგიც არის პირველი კურსიდან გარიცხულ სტუდენტთა დიდი რაოდენობა. ინტერვიუებისას კიდევ ერთი საშიშროება დასახელდა უსდ-ს წარმომადგენელთა მიერ (ქართული საზოგადოება ფიქრობს, რომ სტუ-ს მიერ მინიჭებული პროფესიები არაა მოთხოვნადი ბაზარზე; დაბალი მიღება ამითაა განპირობებული. რეალურად, მოთხოვნა გარკვეულ ტექნიკურ უნარებზე იზრდება ყოველწლიურად. პოტენციური მომხმარებლების ნეგატიური დამოკიდებულება არის საშიშროება). რასაკვირველია, ექსპერტთა ვიზიტი არაა კარგი დრო და ადგილი უსდ-ს SWOT ანალიზის ბრეინსტორმინგისათვის, მაგრამ , მიუხედავად ამისა, ინტერვიუების მსვლელობაში უსდ-ს პერსონალის მიერ დასახელებულმა ამ ორმა პრობლემამ ჩამოუყალიბა ექსპერტებს აზრი, რომ ამ მიმართულებით უფრო მეტი სამუშაო შეიძლება გაკეთდეს. საფრთხეების იდენტიფიცირებისა და პრევენციის უუნარობა წარმოადგენს პოტენციურ რისკს ორგანიზაციისათვის.

როგორც ჩანს, მენეჯმენტი და პერსონალი და სხვა დაინტერესებული მხარეები მონაწილეობდნენ სტრატეგიულ დაგეგმვაში. პერსონალი და მენეჯმენტი ძირითადად იცნობს თავისი ორგანიზაციული ერთეულების დანიშნულებას.

ჯგუფმა შენიშნა, რომ სტუ-ს აქვს 10 სტრატეგიული მიზანი და რიგი ქვე-მიზნებისა, რომლებიც უნდა

შესრულდეს 2018-2020 წლებში. სტრატეგიული განვითარების გეგმა და სამოქმედო გეგმა მოიცავს ყველა იმ ასპექტს, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დაწესებულების ფუნქციონირებისთვის.

მენეჯმენტმა და პერსონალმა დაადასტურა, რომ ყველა მიზანი თანაბრად მნიშვნელოვანია. ამავდროულად, აქტივობების უმეტესობას სამოქმედო გეგმაში არა აქვთ კონკრეტული შესრულების ვადები; ნაცვლად ამისა, მითითებულია 2018-2020 წწ. კონკრეტული აქტივობების განსახორციელებლად საჭირო რესურსები არაა მითითებული. თავად აქტივობები და განხორციელების ინდიკატორება არაა გაზომვადი; მაგალითად, ერთ-ერთი დაგეგმილი აქტივობაა „საბიბლიოთეკო რესურსების გამდიდრება“, შესაბამისი ინდიკატორია „შეძენილი ლიტერატურის რაოდენობა“, ხოლო ვადა არის 2018-2020 წწ. ინტერვიუების პროცესში ჯგუფს მიეწოდა ინფორმაცია, რომ თითოეულ ორგანიზაციულ ერთეულს აქვს საკუთარი სამოქმედო გეგმა, რომელიც შეესაბამება ორგანიზაციის სამოქმედო გეგმას და უფრო დეტალური, გაზომვადი და დროში გაწერილია. ჯგუფმა მოითხოვა რამდენიმე სამოქმედო გეგმა და დაადგინა, რომ ზოგ შემთხვევებში ისინი უფრო დეტალურია და თარიღებიც უფრო კონკრეტული, თუმცა ძირითადად დეპარტამენტების სამოქმედო გეგმები იმეორებენ ორგანიზაციის სამოქმედო გეგმას, ვადები ისევ ზოგადია - 2018-2019წწ და რესურსები არაა მითითებული. არის ერთი შემთხვევაც, როდესაც ფაკულტეტის სამოქმედო გეგმა არაა გათვალისწინებული ორგანიზაციის სამოქმედო გეგმაში.

მენეჯმენტისათვის არ არსებობს განხორციელების კონტროლისა და პასუხისმგებელი პერსონალის ეფექტიანობის შეფასების მექანიზმი .

მიზნების რაოდენობის, აქტივობებისა და ცენტრალიზებული ორგანიზაციული სტრუქტურის გათვალისწინებით, გეგმების განხორციელება შესაძლოა გაჭირდეს.

სტუ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებასა და ცოდნის გავრცელებაში. ამ მიზნით სტუ უზრუნველყოფს ბიზნეს და სახელმწიფო ორგანიზაციებს რიგი მომსახურებებით, კონსულტაციებითა და ექსპერტიზით, ასევე, სთავაზობს სასწავლო პროგრამებს. სტუ-ს სამოქმედო გეგმა მოიცავს რიგ აქტივობებს განკუთვნილს უწყვეტი განათლების განვითარებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ სტუ-ს ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულებაა კვლევითი მუშაობის კომერციალიზაცია ადგილობრივ და საერთაშორისო ბიზნეს წრეებთან და სახელმწიფო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის საშუალებით. სტუ-ის აქტივობები ცოდნის გავრცელებისა და სამეცნიერო მუშაობის თვალსაზრისით ხელს უწყობს საზოგადოების განვითარებას და ეს სტუ-ის საქმიანობის კარგი მაგალითია.

ამჟამად, სტუ-ს არ გააჩნია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების მონიტორინგის ეფექტური მექანიზმი, თუმცა აქვს ამ მიზნებისათვის წესებისა და პროცედურების დადგენის გეგმები. ვიზიტისას ჯგუფს ეცნობა, რომ ასეთი სისტემა შემუშავებული და განხორციელებული იქნება 2018 წლის სექტემბერში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მისია და ხედვა
- სტრატეგიის შემუშავების მეთოდოლოგია
- სტრატეგიული განვითარების გეგმა
- სტუ-ს სამოქმედო გეგმა
- ფაკულტეტებისა და დეპარტამენტების სამოქმედო გეგმები
- ინტერვიუები ხელმძღვანელობასთან და პერსონალთან

რეკომენდაციები:

- განიხილეთ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რათა დარწმუნდეთ, რომ ორგანიზაცია აგროვებს და აანალიზებს ყველა შესაბამის მონაცემს.
- სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმის მიზნებისათვის, შეიმუშავეთ გაზომვადი, დროში გაწერილი ამოცანები და გამოყავით რესურსები კონკრეტული ქმედებებისათვის.
- ყველა ორგანიზაციული ერთეულისათვის შეიმუშავეთ დეტალური სამოქმედო გეგმა.
- შეიმუშავეთ და აამოქმედეთ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების მონიტორინგის წესები და პროცედურები.

რჩევები:

- სტუ-ს აქვს ბევრი მიზანი. მათი განხორციელება საჭიროებს უზარმაზარ ადამიანურ და ფინანსურ რესურსებს. პრიორიტეტების დადგენა შესაძლოა იყოს ერთ-ერთი გამოსავალი ამ საჭიროებების შესამცირებლად.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- სტუ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებასა და ცოდნის გავრცელებაში. ამ მიზნით სტუ უზრუნველყოფს ბიზნეს და სახელმწიფო ორგანიზაციებს რიგი სერვისებით, კონსულტაციებითა და ექსპერტიზით. ასევე, სთავაზობს სასწავლო პროგრამებს. უნდა აღინიშნოს, რომ სტუ-ს ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულებაა კვლევითი საქმიანობის კომერციალიზაცია ადგილობრივ და საერთაშორისო ბიზნესის წრეებთან და სახელმწიფო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის საშუალებით. ეს, სტუ-ის საქმიანობის კარგი მაგალითია, ცოდნის გავრცელებისა და სამეცნიერო მუშაობით საზოგადოების განვითარების მიმართულებით.

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

- უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას.
- უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი.
- უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას.
- უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

როგორც ეს ჩანს მისი ორგანიზაციული სქემიდან, სტუ-ს აქვს არასაჭიროდ რთული ორგანიზაციული სტრუქტურა. სტუ-ს არ გააჩნია იერარქიული ორგანიზაციული სტრუქტურა, მისი სტრუქტურული ერთეულების უმრავლესობის უშუალოდ რექტორისადმი დაქვემდებარებით. შემდეგ, გამოკვეთილია მენეჯმენტის ორი ხაზი, სტუ-ს ბევრი სტრუქტურული ერთეული ექვემდებარება როგორც რექტორს, ისე ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილეს. ამ უკანასკნელს მხოლოდ ორი სტრუქტურული ერთეული ექვემდებარება. აკადემიური პერსონალის დანიშვნა სტრუქტურული ერთეულების მენეჯერებად მიღებული წესია; რამდენადაც ეს არჩევანი შესაძლოა იყოს კულტურული საკითხი, იმდენად იგი ვერ უზრუნველყოფს ეფექტურ და ეფექტიან მენეჯმენტს, როგორსაც შეძლებდა პროფესიონალი მენეჯერი. ცალკეულ სტრუქტურულ ერთეულებში დიდი რაოდენობით პერსონალია დასაქმებული (მაგ. „დიპლომების გამცემი სამსახური“), მაშინ, როდესაც სხვები (მაგ. IT დეპარტამენტი) მეტწილად დაუკომპლექტებელია. მანდატისა და შესრულებული სამუშაოს მოცულობის გათვალისწინებით, სპეციფიკური სტრუქტურული ერთეულების საჭიროება (მაგ. „სამხედრო მობილიზაციის დეპარტემენტი“) გაუგებარია. ანალოგიურად, სამუშაოს აღწერილობის გათვალისწინებით, ზოგიერთი ერთნაირი პოზიციის არსებობა არ არის გამართლებული (მაგ. ფაკულტეტის მენეჯერები, კოორდინატორები, კურატორები). ამის საწინააღმდეგოდ, ზოგიერთ სტრუქტურულ ერთეულს დავალებული აქვს მრავალფეროვანი და შეუსაბამო ამოცანები (მაგ. „საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტანდარტების სამსახური“). ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის მოვალეობები ნაწილობრივ ფარავს სხვებისას. მაგალითად, საერთო ელემენტები გამოვლინდა „სასწავლო დეპარტამენტისა“ და „სასწავლო პროცესების მეთოდური უზრუნველყოფის დეპარტემენტის“ ფუნქციებში; „სასწავლო დეპარტამენტისა“ და „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის“ ფუნქციებში; „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა“ და „საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტანდარტების სამსახურის“ ფუნქციებში და ა.შ. ფუნქციების ასეთ გადაფარვას მივყავართ თითოეული სტრუქტურული ერთეულის მანდატის გაურკვევლობასთან, კოორდინაციის სირთულესთან და შიდა კომუნიკაციის ზედაპირულობასთან, რაც თავის მხრივ წარმოადგენს არაეფექტიანობის წყაროს; ეს, ასევე, გარკვეულწილად ხსნის იმას, თუ რატომ იძლეოდა ინტერიუების დროს სხვადასხვა დეპარტამენტი ერთიდაიგივე საკითხზე მეტად განსხვავებულ მონაცემებს. საერთო ჯამში, სტუ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა მოითხოვს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

სტუ-ს უმაღლესი მმართველი ორგანოებია აკადემიური საბჭო. წარმომადგენლობითი საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ფაკულტეტების დონეზე შესაბამისი მმართველი ორგანოებია ფაკულტეტის საბჭო, დეკანი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. სტუ-ს, ფაკულტეტების და დამოუკიდებელი სამეცნიერო და კვლევითი ერთეულების მმართველი ორგანოების არჩევის წესი მიღებულია აკადემიური საბჭოს მიერ და დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ. ყოველივე ეს აღწერილია დოკუმენტში სახელწოდებით „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და ფაკულტეტების მმართველი ორგანოების არჩევის წესი“, რომელშიც განსაზღვრულია მმართველი ორგანოებში არჩევისა თუ დანიშვნისადმი მოთხოვნები; ეს მოთხოვნები მოიცავს

კანდიდატების ხედვისა და სამოქმედო გეგმის მიმოხილვას, სადაც ეს შესაბამისია. შესატყვისი პროცედურები დამტკიცებულია; ისინი გამჭვირვალეა, სამართლიანი და შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან.

მენეჯმენტის ფუნქციების დასახმარებლად სტუ იყენებს რამოდენიმე ავტომატურ საინფორმაციო სისტემას; ეს საშუალებას იძლევა მმართველი ორგანოების გადაწყვეტილებები აკადემიურ, სამეცნიერო და ადმინისტრაციულ საკითხებზე მეტწილად მიღებულ იქნეს დროული და ეფექტიანი წესით. სტუ-ს მიღებული აქვს "დოკუმენტაციის წარმოების ერთიანი წესი", რომელიც აღწერს მმართველობითი დოკუმენტების მენეჯმენტისა და გატარების პრინციპებსა და რეგულირებებს. ეს რეგულაციები მიღებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. თვითშეფასების ანგარიშში ჩამოთვლილია რიგი IT სისტემებისა (მაგ. დიპლომების გაცემის დამხმარე პროგრამა, ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის დამხმარე პროგრამა, ბიზნესის ადმინისტრირების ხელმძღვანელის დამხმარე პროგრამა, კანცელარიის დოკუმენტების დაარქივების პროგრამა და სხვ.), რომლებიც წარმოადგენენ დოკუმენტების წარმოების ელექტრონული სისტემის ელემენტებს. თუმცა, დოკუმენტაციის წარმოების ინტეგრირებული ელექტრონული სისტემა მოხსენიებული არაა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის N127/ნ ბრძანების 'საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების შესახებ" თანახმად, სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის რეესტრის გუნდი უფლებამოსილია უსდ-ს რეესტრის წარმოებაზე.

სტუ-ს ჩამოყალიბებული აქვს მისი „საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) მართვის პოლიტიკა და პროცედურები, საქმიანობის წარმოების უწყვეტობის გეგმა". იგი დამტკიცებულ იქნა რექტორის მიერ 2018 წლის 14 მაისს. მიუხედავად მისი სათაურისა, დოკუმენტი არ მოიცავს სტუ-ს IT სისტემების საქმიანობის უწყვეტობის გეგმას. უფრო მეტიც, საერთოდ არაა მომზადებული გეგმები ინსტიტუციის ძირითადი საქმიანობის პროცესები უწყვეტობის უზრუნველსაყოფად. სტუ-ს სტრატეგიულ გეგმაში და შესაბამის სამოქმედო გეგმებში მხოლოდ რამოდენიმე რისკია იდენტიფიცირებული; თუმცა, სისტემატური რისკების იდენტიფიცირების, შეფასებისა და მართვის პროცესი არაა წარმოდგენილი. საერთო ჯამში, სტუ-ს საქმიანობის მართვის ეფექტურობა მოითხოვს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

სტუ-ს შემუშავებული აქვს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და სტრატეგია; იგი დამტკიცდა ახლახან (2018 წლის 2 აპრილს) აკადემიური საბჭოს N01-05-04/97 დადგენილებით. მიუხედავად ამ პოლიტიკის ოფიციალურად ახლახან მიღებისა, არსებობს საკმარისი მტკიცებულებები (იხილე სტანდარტები #3, #5 და #6) იმისა, რომ სტუ აქტიურად უჭერს მხარს სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო მობილობას, ერთობლივი პროგრამების/პროექტების შემუშავება/განხორციელებას და მის მონაწილეობას საერთაშორისო კვლევით აქტივობებში. ეს მეტყველებს იმაზე, რომ სტუ-ს ხელმძღვანელობას უზრუნველყოფილი აქვს ინტერნაციონალიზაციის აქტივობების განხორციელება; მიუხედავად ამისა, ამ მხრივ მიღწეული შედეგები ჩამორჩება სტუ-ს შესაძლებლობებს, ისინი ჯერ კიდევ მოლოდინებზე დაბალია და არ ახდენენ სისტემურ გავლენას ინსტიტუციის მუშაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ შედეგების ზუსტი შეფასება შესაძლებელი იქნება ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისა და სტრატეგიის განხორციელების დაწყებიდან და მონიტორინგის მექანიზმებისა და შედეგების შეფასების ამოქმედებიდან გარკვეული ხნის შემდეგ, ამჟამინდელი დასკვნები გვიჩვენებს, რომ სტუ-ს საქმიანობა ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით საჭიროებს მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტუ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა (http://gtu.ge/Eng/Info/Structure/Structure.php);
- სტუ-ს სტრუქტურული ერთეულების დებულებები;
- სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2014 წლის 29 იანვრის N1 გადაწყვეტილება „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და ფაკულტეტების მმართველი ორგანოების არჩევის წესის შესახებ";
- სტუ-ს რექტორის 2018 წლის 6 თებერვლის No. 29 რეზოლუცია "დოკუმენტაციის წარმოების ერთიანი წესის" დამტკიცების თაობაზე;
- სტუ-ს ჩამოყალიბებული აქვს მისი „საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) მართვის პოლიტიკა და პროცედურები, საქმიანობის წარმოების უწყვეტობის გეგმა;
- სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ 2018 წლის 2 აპრილის No. 01-05-04/97 რეზოლუციით დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და სტრატეგია";
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები სტუ-ს ხელმძღვანელობასთან, მენეჯმენტთან და პერსონალთან.

რეკომენდაციები:

- გადახედეთ ორგანიზაციულ სტრუქტურას მისი ეფექტურობისა და ეფექტიანობის გაზრდის თვალთახედვით, მათ შორის შესრულებულ სამუშაოსთან მიმართებაში ადამიანური რესურსების რაციონალიზაციის კუთხით და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებისა და ვალდებულებების გადანაწილებით, რათა თავიდან იქნას აცილებული კომპეტენციებისა და მოვალეობების გადაფარვა და ძალისხმევის დუბლირება.
- შეიმუშავეთ გეგმა ან გეგმების კომპლექტი, რომელიც უზრუნველყოფს სტუ-ს ძირითადი საქმიანობის პროცესების უწყვეტობას. ეს გეგმები უნდა ითვალისწინებდეს ყველა შესაძლო რისკს, მათი პრევენციის მექანიზმებს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი პრევენცია შეუძლებელია, ჩამოაყალიბეთ მათი შემცირების

სტრატეგია.

რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
• უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას. • უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს „შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“. ეს დოკუმენტი აღწერს სტუ-ს მიდგომას ხარისხის უზრუნველყოფისადმი; იგი განიხილავს პრინციპებს, რომლებიც მართავენ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას და აღწერს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებს. ეს უკანასკნელი მოიცავს (i) ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკას; (ii) პროგრამის შემუშავებასა და დამტკიცებას; (iii) სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლას, სწავლებასა და შეფასებას; (iv) სტუდენტთა მიღებას, პროგრესირებას, აღიარებას და სერტიფიცირებას; (v) პედაგოგებს/ლექტორებს; (vi) საგანმანათლებლო რესურსებსა და სტუდენტთა მხარდაჭერას; (vii) ინფორმაციის მენეჯმენტს; (viii) საჯარო ინფორმაციას; (ix) პროგრამების მიმდინარე მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას; (x) პერიოდულ გარე ხარისხის უზრუნველყოფას და ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარსიხის უზრუნველყოფის ევროპული სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG) პირველი ნაწილის შესაბამისი სტანდარტების დაცვას. სტუ-ს მიდგომა ხარისხის უზრუნველყოფისადმი, ასევე, გულისხმობს ადმინისტრაციული ფუნქციებისათვის ISO 9000 სტანდარტების დაცვას; ეს საკითხი ევალება საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტანდარტების სამსახურს.

ზემოხსენებული დოკუმენტის ამგვარი ფორმულირება მეტყველებს მნიშვნელოვან გადადგმულ ნაბიჯზე ხარისხის უზრუნველყოფისა და მისი გაუმჯობესებისადმი სისტემური და თანმიმდევრული, ინსტიტუციური მასშტაბის მიდგომის დამკვიდრების მიმართულებით. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის და პერსონალის მიერ სწავლების განხორციელების (მათ შორის, რამდენიმე კვლევა და ლექციების ჩანაწერები), ისევე, როგორც საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და გაუმჯობესების (მათ შორის, გარე დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობით) მექანიზმები მოქმედებაშია და არსებობს მტკიცებულებები, რომ მათი განხორციელების შედეგები გამოიყენება საგანმანათლებლო პროცესის გასაუმჯობესებლად. მიუხედავად ამისა, ყველა მექანიზმი არაა აქტივიზირებული რეგულარულ საფუძველზე და თანმხლები პროცესები არაა ოპტიმიზირებული. ის ფაქტი, რომ სტუდენტთა კვლევები ხორციელდება ელექტრონულად, იმგვარად, რომ მათი ანონიმურობა არაა უზრუნველყოფილი, არ შეიძლება დარჩეს ყურადღების გარეშე. ასევე, მნიშვნელოვანია უზრუნველყოფა იმისა, რომ კვლევებში მონაწილეობისას სტუდენტები ინფორმირებულნი იყვნენ ანონიმურობის უზრუნველყოფის ზომების თაობაზე. ამდენად, სტუ ჯერ კიდევ შორსაა ჰქონდეს ჩამოყალიბებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც მოიცავდა სტუ-ს ყველა მომსახურებასა და აქტივობას და შესაძლებელი იქნებოდა ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოში აღწერა; და კიდევ უფრო შორსაა ხარისხის კულტურის დამკვიდრებისაგან. ამგვარად, მეტი ძალისხმევაა საჭირო ინსტიტუციის აქტივობების, მისი რესურსების უწყვეტი შეფასებებისა და განვითარების უზრუნველსაყოფად და ისეთი მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად, რომლებიც ემყარება ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების შედეგებს.

სტუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მოქმედებს საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ მოთხოვნების შესაბამისად. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სტრუქტურა, ფუნქციონირება და განვითარება ეფუძნება ხარისხის მენეჯმენტის საერთაშორისო სტანდარტების ISO 9000 მოთხოვნებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების თანახმად სამსახურის მიზანია: „უნივერსიტეტში სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასება, შეფასების საფუძველზე ვითარების გაუმჯობესების ან დამაკმაყოფილებელი ვითარების შემთხვევაში, მისი შენარჩუნებისა და შემდგომი გაუმჯობესებისთვის საჭირო წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება“. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების, მონიტორინგისა და შეფასების ეფექტიანობის შესახებ“ მიხედვით ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები შექმნილია.

სტუ-ს შემუშავებული აქვს „სტუ-ს სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქცია“. დოკუმენტი აყალიბებს სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრისადმი მოთხოვნებს; თუმცა, თვითშეფასების ანგარიშის თანახმად სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია და გაუმჯობესსბის მექანიზმი ჯერ კიდევ შემუშავების პროცესშია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური საბჭოს 2011 წლის 27 სექტემბრის N531 დადგენილება „სტუ-ს პროფესორებისა და პედაგოგების შეფასების სიტემისა და გამოხმაურებების შესახებ“;
- აკადემიური საბჭოს 2010 წლის 17 ივნისი No. 482 დადგენილება „სტუ-ს სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქცია“;
- სტუ-ს რექტორის 2016 წლის 28 მარტის No. 42 ბრძანება „საგანმანათლებლო პროგრამების შესაფასებელი საფაკულტეტო კომისიების“ შესახებ;
- სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2018 წლის 14 თებერვლის No. 01-06-02/06 რეზოლუცია „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეგულაციების“ ტაობაზე;
- „შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- „სტუ-ს სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქცია“
- კვლევების შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები სტუ-ს ხელმძღვანელობასთან, მენეჯმენტთან და პერსონალთან.

რეკომენდაციები:

- შეიმუშავეთ და გამოიყენეთ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების შედეგების უნივერსიტეტის მართვის ორგანოებისათვის მიწოდების მექანიზმები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებები სათანადოდ იყოს ინფორმირებული ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დასკვნებით.
- გამოიყენეთ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები სისტემატურად, რეგულარულად და პერიოდულად;
- მოახდინეთ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებასთან დაკავშირებული პროცესების ოპტიმიზაცია;
- უზრუნველყავით სტუდენტთა კვლევის პროცესის ანონიმურობა და აცნობეთ სტუდენტებს მიღებული ზომების შესახებ;
- მოახდინეთ არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების კონსოლიდაცია და დაამატეთ მათ ყველა საჭირო დამატებითი მექნიზმი, რათა ჩამოაყალიბოთ ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო, რომელიც სრულად და ზუსტად აღწერს სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას;
- შეიმუშავეთ სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისა და სათანადო მექნიზმების გაუმჯობესების მეთოდოლოგია.

რჩევები:

- სტუ-ში ხარისხის კულტურის განვითარება.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ-ს შემუშავებული აქვს რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც იცავს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს. ასეთი რეგულაციები საჯაროდ არის ხელმისაწვდომი.
- დაწესებულებას განხორციელებული აქვს პლაგიატის დადგენისა და მისი პრევენციის მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: სტუ-ს შემუშავებულია აქვს ეთიკის კოდექსი 2014 წლიდან. კოდექსი მიმართავს აკადემიურ, ადმინისტრაციულ, სამეცნიერო, პედაგოგიურ და დამხმარე პერსონალს, ასევე მოწვეულ სპეციალისტებს და უნივერსიტეტის სტუდენტებს, იგი განმარტავს აკადემიური საზოგადოების ყველა წევრის ქცევის წესებს, უზრუნველყოფს აკადემიური თავისუფლების პატივისცემას და იგი სავალდებულოა ყველასათვის. კოდექსი საჯაროდ ხელმისაწვდომია სტუ-ს ვებ-საიტზე. სტუ-ს შეძენილი აქვს ანტი-პლაგიატის პროგრამა და იყენებს მას პლაგიარიზმის შემთხვევების გამოსავლენად. ცოტა მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს პლაგიატის პრევენციის ზომებს, ვიდრე მის გამოვლენას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2014 წლის 15 ოქტომბრის N1 რეზოლუცია „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის რეგულაციების“ შესახებ; ● უნივერსიტეტის მიერ შეძენილი სპეციალური პროგრამული პაკეტი (Strikeplagiarism) პლაგიარიზმის იდენტიფიცირებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლისათვის (სალიცენზიო ხელშეკრულება, 2018 წლის 23 მარტი); ● პროგრამა Strikeplagiarism გამოყენების წესები; ● აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 მარტის No. 01-05-04/44 რეზოლუცია „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის რეგულირებების“ შესახებ;
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: ● პლაგიარიზმის პრევენციის მიზნით მისაღებია ზომები.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შედგენის, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სტუ-ს 2014 წლის მარტიდან (მნიშვნელოვნად განახლდა 2018 წლის თებერვალში) აქვს „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, მიღების, შეფასებისა და განვითარების რეგულირებები“, რომელის თანახმად პროგრამის შემუშავება წარმოადგენს თანამონაწილეობრივ პროცესს და იწყება შრომის ბაზრის შესწავლით. რეგულაციების შესაბამისად პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და პროფესიული ასოციაციები უნდა იყვნენ ჩართულნი პროგრამის შემუშავებაში. აღნიშნულ დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ ისინი მართლაც ჩართულნი არიან კურიკულუმის შემუშავების პროცესში, თანაც მონაწილეობენ კვლევებში და ავსებენ შემუშავებულ კითხვარებს.

ამ რეგულაციებს იცავდნენ სტუ-ს პროგრამების ბოლო მოდიფიკაციის დროსაც: ყველა 169 აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი პროგრამა მოდიფიცირებულ იქნა 2018 წლის აპრილიდან ივნისამდე (ისინიც კი, რომლებიც პირველად დაინერგა 2017 წელს). ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ასახელებს მასობრივი მოდიფიკაციის შემდეგ მიზეზებს: ა) მომავალი ინსტიტუციური ავტორიზაცია - პროგრამები საჭიროებდა განახლებას ახალ სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით; ბ) ცვლილებები სტუდენტთა შეფასების მეთოდებში. როგორც გაირკვა ინტერვიუების მსვლელობაში, ზოგიერთი სასწავლო პროგრამა შეიცვალა მნიშვნელოვნად შინაარსის კუთხით (ახალი თემები, ახალი საგნები, შეიცვალა მოდულური სტრუქტურა, ახალი ლიტერატურა და ა.შ.); სხვა შემთვევებში შეიცვალა მხოლოდ ფორმატი.

პროგრამების ამ ტოტალური მოდიფიცირების შედეგად, ყველა სასწავლო პროგრამას და სილაბუსს 12-ვე ფაკულტეტზე აქვს სტანდარტული ფორმატი და იზიარებს იგივე სტრუქტურას, მიუხედავად მათი განსხვავებული პროფილისა. ბაკალავრიატის ყველა პროგრამას (69) აქვს სავალდებულო პრაქტიკული და კვლევითი (საბაკალავრო ნაშრომი) კომპონენტი; კვლევითი კომპონენტის მოცულობა მაგისტრატურის დონეზე გაიზარდა - ახლა ყველა სამაგისტრო პროგრამას აქვს 45 ECTS კრედიტიანი კვლევითი პროექტი. აშკარაა, რომ ორივე პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტი საჭიროებს დამატებით ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს. „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, მიღების, შეფასებისა და განვითარების რეგულირებები“ მკაფიოდ მოითხოვს რესურსების ხელმისაწვდომობასა და პროგრამის მდგრადობის პროგნოზირებას, მათ შორის ფინანსურ მდგრადობასაც. სტუ-ს ადმინისტრაციის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ რესურსები ხელმისაწვდომია ყველა სასწავლო პროგრამისათვის, მაგრამ შემდგომ დისკუსიებში გაირკვა, რომ პროგრამის მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად არავითარი სერიოზული გაანგარიშებები არ ჩატარებულა.

„საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, მიღების, შეფასებისა და განვითარების რეგულირებები“ მოითხოვს სხვა მნიშვნელოვანი ასპექტების გათვალისწინებასაც, როგორიცაა:

- პროგრამების ინტერნაციონალიზაციის პერსპექტივები - წარმოდგენილი კურიკულუმების შემთხვევითი შერჩევით ჯგუფმა ვერ მოიკვლია ამის ვერც ერთი მაგალითი;
- დასაქმების პროგნოზირებას - პროგრამის შემუშავების უაღრესად მნიშვნელოვანი ასპექტია, ვინაიდან კურსდამთავრებულთა დასაქმების არსებული სტატისტიკა მერყეობს 25%-დან სამშენებლო ფაკულტეტზე, 69%-მდე ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე; (უნდა აღინიშნოს, რომ დასაქმების მონაცემები განსხვავედება თვითშეფასების ანგარიშში (გვ. 42) და დანართ 4-ში (გვ. 155-162) მოცემულისაგან.
- პროგრამებს უნდა ქონდეს სწავლის შედეგების რუკა - ეს წესი დაცულია; ყველა შემოწმებულ პროგრამას აქვს სწავლის შედეგების რუკა;
- სწალის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს - ეს წესიც დაცულია;
- საბაკალავრო პროგრამებს უნდა ქონდეთ არჩევითი საგნების ბლოკები, მაშინ, როცა მაგისტრატურისა და დოქტორანტურის დონეებზე შეიძლება ჰქონდეს არჩევითი საგნები - ეს წესიც დაცულია;
- ადეკვატური ინფრასტრუქტურა პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების უზრუნველსაყოფად - სიტუაცია სხვადასხვა ფაკულტეტზე განსხვავებულია - ახლად აღჭურვილი ფიზიკისა და სოფლის მეირნეობის კათედრებიდან ძველ, საბჭოთა დროინდელ ლაბორატორიებამდე. სტუ-ში გაცნობიერებული აქვთ, რომ ინფრასტრუქტურა საჭიროებს განახლებას - ეს გაცხადებულია თვითშეფასების ანგარიშში, #3 სტანდარტის „გასაუმჯობესებელ მხარეებში“. ინფრასტრუქტურის არათანაბარი განვითარების დონე საშიშროებას უქმნის პროგრამის განხორციელებას;
- თვითშეფასების ანგარიში სტუ-ს ძლიერ მხარეებში მოიხსენიებს აკადემიური პერსონალის მაღალკვალიფიციურობას: 2016 წლიდან ხორციელდება სასწავლო პროცესის მეთვალყურეობა ვიზუალური მონიტორინგის მეშვეობით - აუდიტორიების უმეტესობა აღჭურვილია ვიდეო-მონიტორინგის სიმძლავრეებით და მონიტორინგის შედეგები ადასტურებს პერსონალის პედაგოგიურ კომპეტენციებს. ამავდროულად, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები ინტერვიუებში აღნიშნავენ, რომ აკადემიური პერსონალი საჭიროებს გადამზადებას სწავლების თანამედროვე მეთოდებში. კურიკულუმისა და სილაბუსის უნიფიცირებული ნიმუშები იძლევიან სწავლების მეთოდების ჩამონათვალს და როგორც მიუთითებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სტუ-ს აკადემიური პერსონალი გადამზადებულ იქნა ამ მეთოდების ათვისებაში. სტუ-ს პროფესიული განვითარების ცენტრი, ასევე, უზრუნველყოფს პერსონალს სწავლებისა და შეფასების მეთოდებში ახლო თანამშრომლობით აშშ-ს კოლეგებთან, მაგრამ ცენტრი არ ყოფილა ჩართული მოდიფიცირებული პროგრამებისათვის დამატებით ტრენინგებში;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრება და დასწრების განაკვეთი უნდა იქნეს შეფასებული და შესაძლებელია

განხილულ იქნეს როგორც პროგრამის მოდიცირების მიზეზი - თვითშეფასების ანგარიში იძლევა მონაცემებს მოსწრების, დასწრების განაკვეთებზე (შემდეგ ჩანაცვლდა აქტივობის განაკვეთით) და აკადემიური მიღწევებით - ესენია საგანგაშოდ დაბალი და გაუგებარია, თუ როგორ იქნა ეს მონაცემები გამოყენებული პროგრამის შესაფასებლად და რატომ იქნა უნიფიცირებული მიდგომა არჩეული ამ მონაცემებზე რეაგირების მიზნით.

იგივე რეგულაციები, ასევე, განსაზღვრავს ერთობლივი პროგრამების შემუშავების წესებს. სტუ-ს თვითშეფასების ანგარიში აღნიშნავს მხოლოდ ერთ ერთობლივ პროგრამას - სამაგისტრო პროგრამას ბიო-სამედიცინო ინჟინერიაში, საქართველოს ორ სხვა უსდ-სთან, თუმცა, ინტერვიუებისას ჯგუფმა შეიტყო მეორე ერთობლივი პროგრამის არსებობის თაობაზე ლოჯისტიკაში, გერმანულ პარტნიორ უნივერსიტეტთან.

სტუ-ს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და შეფასების სისტემა, აკადემიური პერსონალის, სხვადასხვა ადმინისტრაციული ერთეულების (სასწავლო პროცესის მეთოდოლოგიური დახმარების დეპარტამენტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სასწავლო დეპარტამენტი, ფაკულტეტის კომისიები), სტუდენტებისა და გარე დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობით. ყველა ეს მხარე ჩართულია სასწავლო პროგრამების მოდიფიცირებაში, მაგრამ ეს იყო ნათლად ზემოდან ქვემოთ მიდგომა, პროგრამების სტანდარტიზაცია დისციპლინების მახასიათებლებისა და ხელმისაწვდომი რესურსების გათვალისწინების გარეშე. გასაკვირია, მაგრამ ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი, ისევე, როგორც სტუდენტები - ეთანხმებიან ამ მიდგომას.

ამ ეტაპზე, სტუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტიანობისა და მდგრადობის დემონსტრირება შეუძლებელია, ვინაიდან 169 მათგანი შეიცვალა ავტორიზაციის ვიზიტამდე ცოტა ხნით ადრე და განხორციელდება მოდიფიცირებული სახით 2018-2019 აკადემიური წლიდან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, მიღების, შეფასებისა და განვითარების რეგულირებები“ (14.02.2018)
- საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი http://gtu.ge/pdf/profesiulis_katalogi_1.pdf
- საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მუდმივი კომისიების რეგულაციები (23.03.2016) http://gtu.ge/quality/Files/Pdf/brdz%20kom.pdf
- სტუ-ს თვითშფასების ანგარიში
- ინტერვიუები უსდ-ს ადმინისტრაციულ , აკადემირ პერსონალთან და დამსაქმებლებთან

რეკომენდაციები:

- პროგრამის შეფასებაში ისარგებლეთ PDCA ციკლით, გაითვალისწინეთ პროგრამის საგნობრივ- სპეციფიკური მახასიათებლები და რესურსების ხელმისაწვდომობა (როგორც ადამიანური, ისე მატერიალური);
- უზრუნველყავით პედაგოგთა მომზადება სწავლებისა და შეფასების მეთოდებში და ამისათვის გამოიყენეთ პროფესიული განვითარების ცენტრის რესურსები;
- უზრუნველყავით სასწავლო პროგრამები ადეკვატური ინფრასტრუქტურით;
- უზრუნველყავით სასწავლო პროგრამები ადეკვატური ფინანსური რესურსებით, განსაკუთრებით მათი კვლევითი კომპონენტები.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2.საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

როგორც ზემოთ იყო ნახსენები, ყველა ხარისხის მიმნიჭებელი პროგრამის ავტორიზაციის წინა პერიოდში მოდიფიკაციის შემდეგ, მიუხედავად პროგრამის პროფილისა, ყველა კურიკულუმის მიმართ გამოყენებულ იქნა უნიფიცირებული სტრუქტურა. ყველა სამაგისტრო პროგრამას 12-ვე ფაკულტეტზე, მათ შორის კლასიკურ საინჟინრო, დიზაინის, ქიმიისა და ფარმაციის, სოფლის მეურნეობის, სამართლის, საერთაშორისო ურთიერთობების და თეოლოგიის პროგრამების დისციპლინებს, აქვთ ერთანაირი დიზაინი, ერთნაირი სტრუქტურა, კვლევითი კომპონენტის ერთნაირი მოცულობა და ა.შ. (იხილე ზემოთ). მეტი მრავალფეროვნებაა ბაკალავრიატის დონეზე, სადაც სავალდებულო და არჩევით კომპონენტებს სხვადასხვა ფაკულტეტებზე/პროგრამებში შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული მოცულობები.

სწავლებისა და შეფასების მეთოდები, ისევე, როგორც სასწავლო მასალები უნდა ითვალისწინებდნენ სექტორულ სპეციფიკას და უზრუნველყოფდნენ სწავლის შედეგების მიღწევას, როგორც ეს აღნიშნულია თვითშეფასების ანგარიშში. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები ჩამოთვლილია თითოეულ კურიკულუმში და კონკრეტული პროგრამისათვის რელევენტური მეთოდები მონიშნულია.

წარმოდგენილი სილაბუსების შერჩევითმა ანალიზმა აჩვენა, რომ გამოყენებულ სახწლმძღვანელოთა უმეტესობა შემუშავებულია სტუ-ს პროფესორების მიერ, რომლებსაც მიჰყავთ კონკრეტული კურსები და გამოცემულია ადგილობრივად სტუ-ს გამომცემლობაში. ძირითადი ლიტერატურა ზოგადად ქართულ ენაზეა ქართულენოვანი პროგრამებისათვის. შემდგომ მოყვანილი ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზეა - გაუგებარია, თუ როგორ შეუძლიათ ბაკალავრებს, რომლებმაც ახლახან დაიწყეს უცხო ენის შესწავლა და მიზნად ისახავენ B2 დონის მიღწევას, რეალურად და ეფექტიანად გამოიყენონ მითითებული ინგლისურ და რუსულენოვანი ლიტერატურა. იგივე შეიძლება ითქვას რუსულენოვან პროგრამებზეც, სადაც ზოგიერთ სილაბუსში მითითებული ქართული ლიტერატურა. განსაკუთრებით იქნა აღნიშნული, რომ სილაბუსები რუსულ და ინგლისურ პროგრამებზე მიწოდებულია ქართულ ენაზე - გაუგებარია თუ როგორ შეუძლიათ რუსულ და ინგლისურენოვანმა სტუდენტებმა გაიგონ ამ სილაბუსების შინაარსი.

მართალია, საგანმანათლებლო პროგრამები სულ ახლახან იყო მოდიფიცირებული, ისინი კიდევ საჭიროებენ შემდგომ გაუმჯობესებას: ძველი სახელმძღვანელოები - წინა საუკუნის 60-70-იანი წლების - აღმოჩენილ იქნა დამატებით ლიტერატურად ბევრ სილაბუსში; სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის მოცულობა უნდა იქნეს გამოთვლილი უფრო ზუსტად - ზოგიერთ სილაბუსში 70 საათამდე დამოუკიდებელი მუშაობის საათია მითითებული, მაშინ, როდესაც სავალდებულო სასწავლო მასალა შეადგენს მხოლოდ 200 გვერდს. ზოგიერთი საგნის წინაპირობების არარსებობა აჩენს კითხვებს.

ყველა პროგრამის სწავლის შედეგები მკაფიოდაა განსაზღვრული და შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს.

საგანმანათლებლო პროგრამებს განხორციელების ეტაპზე სტუ უზრუნველყოფა საკმაოდ კომპლექსური ადმინისტრაციული დახმარებით: პირები/სტრუქტურები რომელთაც ეხებათ ეს არიან დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის მენეჯერი, პროგრამის კოორდინატორი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ინკლუზიური განათლების სპეციალისტი იქნა დაქირავებული ინდივიდუალური პროფესიული პროგრამის სტუდენტთა განსაკუთრებული საჭიროებების უზრუნველსაყოფად. იგივე მიდგომა იქნება გამოყენებული საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური პროგრამებისათვისაც უმაღლესი განათლების დონეზე. ამჟამად, ინდივიდუალური პროგრამები შემუშავებულია ერაზმუს+ სტუდენტებისათვის, რომლებიც დაბრუნდნენ საერთაშორისო მობილობიდან და საჭიროებენ აკადემიური კალენდრის გარკვეულ მორგებას.

ინფორმაცია პროგრამების თაობაზე ხელმისაწვდომია ვებ-საიტზე კურსების კატალოგის ფორმით ქართულ და ინგლისურ ენებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი http://gtu.ge/pdf/profesiulis_katalogi_1.pdf
- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები
- ინტერვიუები სტუ-ს პერსონალთან და სტუდენტებთან
- სტუ-ს თვითშფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

- გადახედეთ სასწავლო მასალებს სილაბუსებში, განსაკუთრებული აქცენტით მოძველებულ ლიტერატურასა და სწავლების ენაზე.
- გადახედეთ სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის მოცულობას მიწოდებული სასწავლო მასალების შესაბამისად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სტუ-ს გააჩნია სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, რომელიც რეგულირდება შიდა წესებით (საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, მიღების, შეფასების და განვითარების რეგულაციები) და შეესაბამება ეროვნულ კანონმდებლობას. შეფასების უნიფიცირებული და ხისტი სისტემა შეიცვალა 2018 წლის გაზაფხულზე უფრო მოქნილით და ინდივიდუალურით. ძველი შეფასების სისტემა დასახელდა სტუ-ს სტუდენტების დაბალი აკადემიური მიღწევების მიზეზად - როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული პერსონალი იმედოვნებდა, რომ შეფასების მოდიფიცირებული მეთოდი გაუმჯობესებდა სტუდენტთა მოსწრებას. ამის შემოწმება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მოდიფიცირებული სისტემის განხორციელების შემდეგ; ამიტომ, ამ ეტაპზე შეუძლებელია განახლებული შეფასების სისტემის ეფექტიანობის დემონსტრირება, რადგან იგი განხორციელდება 2018-2019 აკადემიური წლიდან. ამავდროულად, გაუგებარია აქვს თუ არა სტუ-ს უკუკავშირის მექანიზმი სტუდენტებისათვის, მიღწეული მიზნების, არსებული ხარვეზებისა და გასაუბჯობესებელი გზების შესახებ - დაბალი აკადემიური მოსწრების ისტორიის გამო, ეს უნდა იქნეს განხილულ როგორც ძალიან მნიშნელოვანი.

სპეციალური შეფასების სისტემა შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტებისათვის. მაგალითად, ახლად შემოღებული სავალდებულო საბაკალავრო პროექტის/ნაშრომისათვის სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ მიღებულია „საბაკალავრო პროექტის განხორციელების წესი“ (26.03.2018), რომელიც მოიცავს, ასევე, შეფასების სქემას. იგივე ეხება სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების შეფასების სისტემას - კრიტერიუმები და პროცედურები მკაფიოდაა განსაზღვრული.

ჯგუფს ჰქონდა შესაძლებლობა შეემოწმებინა გასული წლების სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომები; სხვადასხვა ფაკულტეტებზე კვლევების ხარისხი ძალიან განსხვავებულია, ძალიან კარგიდან (ფიზიკა) ძალიან სუსტამდე (ზოგიერთ საინჟინრო დისციპლინებში, როგორიცაა შედუღება), თუმცა შეფასება (ქულები) ამ ნაშრომებისათვის იყო თანაბრად მაღალი. გაუგებარია, ეს არის შეფასების სისტემაში ხარვეზის გამოხატულება თუ აკადემიური კეთილსინდისიერების პრობლემები.

სტუ-ს აქვს გასაჩივრების პროცედურა: ცვლილებები „სასწავლო პროცესის მენეჯმენტის ინსტრუქციაში“ შემოღებულ იქნა 26.06.2018 (ავტორიზაციის ვიზიტამდე ერთი თვით ადრე) და ამდენად, არც სტუდენტები და არც პროფესორები არ არიან კარგად ინფორმირებულნი ამ პროცედურების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტუ-ს თვითშფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები
- აკადემიური საბჭოს 26.06.2018 წლის 03-05-04/167 დადგენილება ცვლილებებზე „სასწავლო პროცესის მენეჯმენტის ინსტრუქცია“-ში.
- აკადემიური საბჭოს 26.03.2018 წლის 01-05-04/88 დადგენილება „საბაკალავრო პროექტის განხორციელების წესი“.
- ინტერვიუები სტუ-ს პერსონალთან და სტუდენტებთან

რეკომენდაციები: • უზრუნველყავით, რომ სტუ-ს ყველა დაინტერესებული მხარე იცნობდეს შეფასების გასაჩივრების პროცედურებს; • ისარგებლეთ PDCA ციკლით შეფასების სისტემაში და საჭიროების შემთხვევაში შეიტანეთ ცვლილებები; • შეიმუშავეთ სტუდენტებისათვის გამოხმაურების სისტემა იმ მიზნით, რომ უზრუნველყოთ უკეთესი აკადემიური მოსწრება და შეფასების სისტემის გამჭვირვალობა.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
• უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. • უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუ-ს შემუშავებული აქვს პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული მართვის პოლიტიკა, რომელიც მოიცავს:

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკასა და სტრატეგიას, რომელიც დეტალურად აღწერს სტუ-ს მენეჯმენტის მიერ ადმინისტრაციული, დამხმარე, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ადმინისტრირების წესებსა და პროცედურებს; იგი მოიცავს პერსონალის მოზიდვის, შერჩევის, დაქირავებისა და პროფესიული განვითარების მექანიზმებს;
- პროცედურის წესებს, რომლებიც დეტალურად არეგულირებენ პროცედურებს დასაქმების კონტრაქტების დასრულების, განხორციელებისა და შეწყვეტის შესახებ;
- სტუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების წესს, რომელიც მოიცავს არჩეული აკადემიური პერსონალის სტუ-სთან აფილირების შესახებ წესს და აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ჩართულობას საგანმანათლებლო, კვლევით, შემოქმედებით და სხვა მნიშვნელოვან გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;
- ეთიკის კოდექსსა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებს, რომელიც განსაზღვრავს სამართლიანობისა და ეთიკის პრინციპებს ინსტიტუციაში;
- სხვა დოკუმენტებს, მაგალითად რექტორის ბრძანებებს აკადემიური პოზიციების დაკავებაზე კონკურსის გამოცხადების თაობაზე და სხვ.

სტუ-ში ფუნქციონირებს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად.

სტუ-ს აკადემიური პერსონალის დემოგრაფიული მონაცემები ასეთია: სქესის მიხედვით -ქალი -45%, მამაკაცი - 55%; ასაკის მიხედვით - 52% არის 65 წლის და მეტის.

აკადემიური პერსონალის შეფარდება სტუდენტთა რაოდენობასთან არის 0,12, დასახული ნიშნულია 0,12; ადმინისტრაციული პერსონალის შეფარდება სთუდენტებთან არის 0,67, სამიზნე ნიშნულია 0,73; აკადემიური პერსონალის შეფარდება ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საერთო რაოდენობასთან არის 1,4%, სამიზნე ნიშნული - 1,6%; აკადემიური პერსონალის შეკავების კოეფეციენტი არის 96,8%; სამიზნე ნიშნულია - 97,2%; კვალიფიკაციის შესაბამისად კურსდამთავრებულთა დასაქმების ინდექსია 40%, სამიზნე ნიშნულია 45%. ყველა ეს მონაცემი და სამიზნე ნიშნული გონივრულია და მიღწევადი სამოქმედო გეგმის ფარგლებში.

სტუ-ს განვითარების გეგმა ასახელებს მაღალ-კვალიფიციური ახალგაზრდების მოზიდვას პერსონალის გაახალგაზრდევებისათვის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზნად.

თუმცა, არ არსებობს მაღალ-კვალიფიციური ახალგაზრდების აკადემიურ და სამეცნიერო პოზიციებზე რეკრუტირების სტრატეგია.

სტუ-ს შინაგანაწესი იძლევა პერსონალის დაქირავების გამჭვირვალე და ობიექტურ პროცედურას, რომელიცუზრუნველყოფს კვალიფიციური პერსონალის მოზიდვას აკადემიურ, სამენიერო, ადმინისტრაციულ და დამხმარე პოზიციებზე. ვაკანტური ადგილების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება სტუ-ს ვებ-საიტზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული ადამიანისათვის.

სტუ-ს მკაფიოდა აქვს განსაზღვრული მოთხოვნები აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალისათვის, რომელიც ითვალისწინებს სამუშაოს აღწერას და ფუნქციების განაწილებას სტუ-ს რეგულაციებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ახალი აკადემიური პერსონალის მიღებისათვის, სტუ-ს რექტორი გამოსცემს ბრძანებას ღია კონკურსის გამოცხადების თაობაზე და აკადემიური საბჭო გამოსცემს დადგენილებას საარჩევნო კომიტეტის შექმნის თაობაზე.

შემთხვევით შერჩეული დადგენილებებით გაირკვა, რომ კომიტეტების შემადგენლობა თითქმის ექსკლუზიურად დაკომპლექტებულია გარე ექსპერტებით. უდავოა, რომ ეს უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების თავისუფალ და ობიექტურ არჩევას. საკითხავი ისაა, კანდიდატების შერჩევის ეს წესი რამდენად უზრუნველყოფს სტუ-ს ინტერესებს თუ სტუ-ს წარმომადგენელი საერთოდ არაა წარმოდგენილი კომიტეტში.

2012 წელს სტუ-ში შეიქმნა გენდერული სწავლების ცენტრი. ცენტრის წესდების თანახმად, იგი ატარებს ღონისძიებებს და ტრენინგებს გენდერული თანასწორობის, ქალის როლის და ოჯახური ძალადობის პრევენციასთან დაკავშირებით, იგი ორგანიზებას უკეთებს საინფორმაციო კამპანიებს გენდერულ საკითხებზე და სხვ. თუმცა, გაუგებარია თუ ვის უნდა მიმართოს ქალმა სამართლებრივ საკითხებზე რაიმე ინფორმაციის მისაღებად.

2017 წელს სტუ-მ მიიღო „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესი“,

რომლის მიხედვითაც აკადემიურ პოზიციაზე კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია ხელი მოაწეროს აფილირების

ხელშეკრულებას რომლითაც იგი თანხმდება (მხოლოდ) სტუ-სთან აფილირებას. აფილირებული პირი ვალდებულია მოახდინოს მისი მხოლოდ სტუ-სთან იდენტიფიცირება, რათა მონაწილეობა მიიღოს სტუ-ს სახელით მის განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესში, ძირითადი საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო აქტივობებში და აქტიურად იყოს ჩართული საგანამანათლებლო, კვლევითი და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესებში. სტატისტიკის თანახმად აკადემიური პერსონალის 90%=ზე მეტი აფილირებულია სტუ-თან.

სტუ აცხადებს თანამშრომლებისათვის პროფესიული განვითარებისა და ტრენინგის პროგრამებს. სტუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმის 5, II სტრატეგიული მიზნის პრიორიტეტული მიმართულება - „ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება“ შესაბამისად, გათვალისწინებულია ხარისხიანი სწავლებისა და სწავლის უზრუნველყოფა; ასევე, 2018-2020 სამოქმედო გეგმის მიზანი N 5, ამოცანა 5.4 ითვალისწინებს პედაგოგიკისა და სწავლის ინოვაციური მეთოდების დანერგვას.

2011 წლიდან სტუ ჩართულია ერაზმუს მუნდუს პროგრამაში, რომელიც მოიცავს სტუდენტთა და ასევე, ახალგაზრდა მკვლევარებისა და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის მობილობას ევროპის ქვეყნების უმაღლესი განათლების დაწესებულებებში. 28 პროექტის პროექტის ფარგლებში სტუ-მ განახორციელა მობილობა კოორდინატორ უნივერსიტეტებში (22 აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალი) და ამ უნივერსიტეტებიდან სტუ-ში (27 აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალი).

სტუ-ში დაფუძნებულია პროფესიული განვითარების ცენტრი, რომელიც პასუხისმგებელია სტუ-ს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ტრენინგზე. ცენტრი ჩართულია საერთაშორისო თანამშრომლობაში და ახორციელებს რამოდენიმე ერთობლივ პროგრამას. მიუხედავად ამისა, სტუ-ს მიერ არაა დადგენილი პერსონალის სავალდებულო და რეგულარული ტრენინგების მკაფიო წესი. შემდეგ, სწავლების მეთოდებზე კურსების შინაარსი საჭიროებს გაუმჯობესებას იმისათვის, რომ დაკმაყოფილოს მიზნობრივი ჯგუფების დიდაქტიკური საჭიროებები.

სტუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მოქმედებს საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ მოთხოვნების შესაბამისად. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სტრუქტურა, ფუნქციონირება და განვითარება ეფუძნება ხარისხის მენეჯმენტის საერთაშორისო სტანდარტების ISO 9000 მოთხოვნებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების თანახმად სამსახურის მიზანია: „უნივერსიტეტში სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასება, შეფასების საფუძველზე ვითარების გაუმჯობესების ან დამაკმაყოფილებელი ვითარების შემთხვევაში, მისი შენარჩუნებისა და შემდგომი გაუმჯობესებისთვის საჭირო წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება“. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით „ხარისხის უზრუნველყოფის მექნიზმები, მონიტორინგი და შეფასების ეფექტიანობა“ დადგინდა ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები.

ინსტიტუციამ წარმოადგინა სტუდენტთა ერთი კვლევა, რომელშიც დაახლოებით 1800 სტუდენტი მონაწილეობდა და რომელმაც აჩვენა სტუდენტთა კმაყოფილება ლექტორთა აკადემიური კომპეტენციით; ეს იყო მხოლოდ 48%. რესპონდენტები ინტერვიუს პროცესში დარჩნენ გაკვირვებულნი ამ მონაცემის გამო. ამრიგად, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ რეალური ანალიზი და კვლევის შედეგების ასახვა არ ჩატარებულა და აქედან გამომდინარე, სრც სტრატეგია შემუშავებულა სიტუაციის გასაუმჯობესებლად.

პერსონალის კმაყოფილების კვლევა, რომელიც გაცხადებული იყო სტუ-ს მიერ - ვერ იქნა წარმოდგენილი.

არ არსებობს მკაცრი წესი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის სისტემატური და კარგად განსაზღვრული შეფასების, პერსონალის კმაყოფილების და საჭიროებების, სწავლებისა და კვლევების ხარისხის თაობაზე. შეფასებები კეთდება, მაგრამ სპონტანურად, ფიქსირებული ვადების გარეშე (მაგალითად, სემესტრის ბოლოს, სასწავლო წლის ან კალენდარული წლის ბოლოს და ა.შ.)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მენეჯმენტის პოლიტიკა და სტრატეგია
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროცედურის წესები
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი და დისციპლინური პასუხისმგებლობის რეგულაციები
- აკადემიური საბჭოს 2011 წლის 27 სექტემბრის N531 რეზოლუცია „სტუ-ს პროფესორებისა და პედაგოგების შეფასების სისტემა და გამოხმაურება“
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეგულაციები
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, მონიტორინგი და შეფასების ეფექტიანობა
- სტატისტიკური ინდიკატორები პერსონალზე, მათ შორის: აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალზე
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესი
- პროფესიული განვითარების ცენტრის წესდება
- გენდერული სწავლების ცენტრის წესდება.

რეკომენდაციები:

- შეიმუშავეთ მაღალ-კვალიფიციური ახალგაზრდების აკადემიურ და სამეცნიერო პოზიციებზე დასაქმების სტრატეგია;
- დააწესეთ მკაფიო წესები პერსონალის სავალდებულო და რეგულარული ტრენინგების თაობაზე - როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული პერსონალისათვის.
- შეიმუშავეთ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციების, პერსონალის კმაყოფილებისა და საჭიროებების, სწავლებისა და კვლევითი აქტივობების შეფასების სისტემატური და კარგად განსაზღვრული გეგმა და განახორციელოს ამ გეგმის შესრულების მკაცრი მონიტორინგი.

რჩევები:

- აკადემიური პერსონალის საარჩევნო კომიტეტებში უნდა შედიოდეს სტუ-ს ზოგიერთი წევრი.
- პროფესიული სწავლების ცენტრის მიერ ჩატარებული სწავლების მეთოდების კურსები უნდა გადაიხედოს და განახლდეს რეგულარულად.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუ-ს აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალი. აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საერთო რაოდენობასთან არის 0,67; აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან - 1,55; ხოლო აფილირებული პერსონალის თანაფარდობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთო რაოდენობასთან - 0,49.

სტუ-ს აქვს გრაფიკი აკადემიური პერსონალისათვის, რომელიც მოიცავს სასწავლო ან / და მეცნიერულ და კვლევებთან დაკავშირებულ ფუნქციებსა და მოვალეობებს. „აკადემიური დატვირთვის დაანგარიშებისა და განაწილების ინსტრუქცია“ არეგულირებს აკადემიური და მოწვეული პროფესორების დატვირთვებს, რომელიც ფარავს სასწავლო (ლექცია, პრაქტიკული, ლაბორატორიული, საკურსო პროექტს/ნაშრომს და სხვ.) ან/და კვლევით კომპონენტს, ისევე, როგორც მათ დატვირთვას სხვა უსდ-ში. დატვირთვების სქემა იცვლება ყოველ სემესტრში. სქემა მოიცავს სწავლებას, სამეცნიერო/კვლევით/შემოქმედებით/საშემსრულებლო და სხვა ვალდებულებებს, აკადემიური პერსონალის ფუნქციებისა და მოვალეობების შესაბამისად. სტუ-ს აფილირებული პერსონალი, რომელიც ასევე მუშაობს სხვა უსდ-ებში, ვალდებულები არიან განაცხადონ დატვირთვის საათების შესახებ, მათ შორის მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელობის ჩათვლით, ყოველი აკადემიური წლის დაწყებამდე (ისევე, როგორც დატვირთვის ნებისმიერი გაზრდის თაობაზე, ასეთი ცვლილებიდან ერთი კვირის ვადაში).

აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამებზე, კვლევებსა და სხვა საკითხებზე დაკისრებული ფუნქციებისა და მოვალეობების სათანადო შესრულებას. ამ მიზნით, სტუ-ს აკადემიური პერსონალის დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 1100 საათს, სხვა უნივერსიტეტებში მუშაობის ჩათვლით.

საქართველოს კანონისა „უმაღლესი განათლების შესახებ“ და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის № 3 ბრძანება „უმაღლესი საგანამანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის“ შესაბამისად სტუ-ს შემუშავებული აქვს „სტუ-ში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი“, რათა აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დაგეგმვით უზრუნველყოს პროგრამის მდგრადობა.

გასაუბრებებმა აჩვენა, რომ არსებობს სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის დატვირთვების თაობაზე აკადემიური პერსონალის უკეთ ინფორმირების აუცილებლობა, განსაკუთრებით კი ECTS კრედიტების გაანგარიშების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტუ-ში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი
- სტუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების წესი
- პერსონალის პირადი საქმეები
- აკადემიური პერსონალის დატვირთვები
- შრომითი ხელშეკრულებები

რეკომენდაციები:

- აკადემიური, აფილირებული და მოწვეული პერსონალი უკეთ უნდა იყოს ინფორმირებული ბოლონიის წესებზე დაფუძნებულ დატვირთვის რეგულაციებზე;

რჩევები:

- გადახედეთ აფილირების წესის მკაცრ რეგულაციებს იმ მიზნით, რომ მიეცეთ კანდიდატებს მეტი მოქნილობის შესაძლებლობა მათი შრომითი ურთიერთობების აწყობაში;
- აკადემიური, აფილირებული და მოწვეული პერსონალის დატვირთვის განაწილება უნდა განახლდეს ყოველ სემესტრში.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვებისა და ცვლილების წესი, და განათლების აღიარება, სტუდენტის უფლებები
o უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. o უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის ვებ-საიტი (http://gtu.ge), თვითშეფასების ანგარიში და გასაუბრების შედეგები, უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ კონტრაქტების ნიმუშებთან ერთად აჩვენებს, რომ სტუდენტის სტატუსის მინიჭების, შეჩერების და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების და განათლების აღიარების რეგულირებები გამჭვირვალეა, სამართლიანი და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. ინფორმაცია საჯაროა და ყველასათვის ხელმისაწვდომი. თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ვებ-ლინკებიდან მიღებული ინფორმაცია, ისევე, როგორც მტკიცებულებების სიაში მოტანილი სხვა ლინკებიდან, ასაბუთებს, რომ დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. ეს საჭიროებს მონიტორიგს, რადგან თვითშეფასების ამგარიშის თანახმად სტუ-ს 22516 სტუდენტიდან ჰყავს 410-ზე მეტი უცხოელი (რუსულ და ინგლისურენოვანი) სტუდენტი.

როგორც გაირკვა სხვადასხვა ფაკულტეტის რამდენიმე შერჩეული სტუდენტთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სტუ უზრუნველყოფს ზემოხსენებული პროცედურების ეფექტიან და დროულ განხორციელებას სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით.

ვიზიტის შედეგედ დადგინდა, რომ უნივერსიტეტს გააჩნია სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები. როგორც ვიზიტიდან გაირკვა - ეთიკის კომისია პასუხიემგრბრლია როგორც ეთიკის, ისე სხვა საკითხებზე. ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი საკითხია, რომ სტუდენტთა თვალსაზრისით მათთვის გაუგებარია ვის უნდა მიმართონ იმ შემთხვევაში თუ წამოიჭრება რაიმე ეთიკური ან სხვა სახის პრობლემა. გასაუბრებაზე დამსწრე სტუდენტები აღნიშნავენ, რომ მათ არასდროს ჰქონიათ პრობლემა და არასდროს დასჭირვებიათ საკუთარი ინტერესების დაცვა, რაც ნიშნავს, რომ მათ არ ჰქონიათ კომიტეტისათვის მიმართვის საჭიროება და ამ საკითხზე ექსპერტთა ჯგუფთან ვერ იმსჯელეს. მათ თანახმად, გარკვეული პრობლემების წარმოქმნისას, ისინი პირველ რიგში უფრო მიმართავენ დეკანს ან ხელმძღვანელს რჩევისათვის, ვიდრე სტუდენტურ თვითმმართველობას ან კულტურის, სპორტის და სოციალურ საკითხთა დეპარტამენტს (რომელიც განიხილება როგორც სტუდენტთა მხარდაჭერის მომსახურე). ჩვენ რეკომენდაციას გავუწევდით უნივერსიტეტს, რომ დაეხმარონ სტუდენტებს მათი მხარდაჭერის სერვისების მოცულობის გაგებაში, რადგან ამ დეპარტამენტების პასუხისმგებლობა ერთნაირად გასაგები არ არის ყველასთვის.

საერთაშორისო სტუდენტთა უმრავლესობას - როგორც გაირკვა ვიზიტის დროს გასაუბრებებიდან - ჰყავთ მ სწავლის დამფინანსებელი კომპანიები, რომელთაც კავშირი არ აქვთ უნივერსიტეტთან. მოწვეულმა და აკადემიურმა პერსონალმა დაადასტურა, რომ ეს დაფინანსება უშუალოდაა დაკავშირებული სტუდენტთა მოტივირებასთან დაესწრონ ყველა მეცადინეობას, ჰქონდეთ მაღალი აკადემიური მსოწრება და ქმნის კონკურენციას (კერძოდ, მაგალითად: აზერბაიჯანელი სტუდენტები, რომელთაც აფინანსებს *SocarLtd*).

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით სტუ-ში 22516 აქტიური სტუდენტია და 5669 სტუდენტია შეჩერებული სტატუსით. სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა ასეთი მაღალი თანაფარდობა წარმოადგენს ექსპერტთა ჯგუფის შეშფოთების მიზეზს. ადგილზე ვიზიტმა დაადასტურა, რომ უნივერსიტეტისათვის ცნობილია ასეთი სტატუსშეჩერების ძირითადი მიზეზი, ესენია: სტუდენტებს არ შეუძლიათ სწავლის საფასურის გადახდა, ან მათ პიროვნულ თუ ოჯახთან დაკავშირებულ პრობლემები.

როგორც გასაუბრებებზე გაირკვა, არსებობს მრავალი სტიპენდია განსაკუთრებული მოსწრებისათვის, ან სტუ-სთან კავშირში არ მყოფი სასწავლო გრანტები, თუმცა ბევრი მათგანი ხელმისაწვდომია მხოლოდ ქართველი სტუდენტებისათის. საერთაშორისო სტუდენტებმა მკაფიოდ განაცხადეს, რომ საკუთარი სტიპენდიების მოძიება უნივერსიტეტის გარეთ წარმოადგენს მათ ვალდებულებას.

შედეგად, ექსპერტებს სჯერათ, რომ ამ სტანდარტთან მიმართებაში ამას მივყავართ ერთ-ერთ რჩევამდე, რომელიც დაკავშირებულია ფინანსურ დახმარების გაზრდასთან სტიპენდიის ფორმით (როგორც ქართველი, ისე საერთაშორისო სტუდენტებისათის) და სტუდენტთა ასეთი წახალისებამ პოტენციურად შესაძლოა შეამციროს სტუ-ში სტატუსშეჩერებულთა რაოდენობა. ეს უნდა იყოს სტუ-ს მთავარი ინტერესი, რომ მუდმივი კავშირი ჰქონდეს თავის სტუდენტებთან და ხელი შეუწყოს სასწავლებლად დაბრუნებასა, სწავლის დამთავრებასა და შესაბამისი ხარისხის მიღებაში.

ექსპერტთა ჯგუფმა კონტრაქტის ზოგიერთი დეტალი განიხილა სტუდენტებთან და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლებთან; განსაკუთრებით, სწავლის გადასახადის მეთოდებთან დაკავშირებული საკითხები. ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ კონტრაქტი სტუ-სა და სტუდენტს შორის იცავს სტუდენტის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

როგორც გაირკვა სტუდენტებთან და კულტურის, სპორტისა და სოციალური საკითხების დეპარტამენტთან გასაუბრებების შედეგად, ეს სამსახურია ვალდებული გააცნოს სტუდენტებს კონტრაქტში შეტანილი მათ უფლებები და მოვალეობები. ამ დეპარტამენტის წარმომადგენლები ხვდებიან სტუდენტებს რეგისტრაციის დროს და აცნობენ მათ კონტრაქტის იმ ძირითად უმნიშვნელოვანეს საკითხებს, რომლებიც სტუდენტებმა უნდა იცოდნენ, აწვდიან სტუდენტებს სათანადო ინფორმაციას საგანამანათლებლო პროგრამის შესახებ, ექსტარკურიკულურ აქტივობებზე, სტუ-ს სტრუქტურაზე და ეთიკის კოდექსზე.

ეთიკის კოდექსი მიეწოდება სტუდენტებს და ინტერვიუების მიხედვით ყველა მათგანი კარგადაა ინფორმირებული მათი უფლებებისა და ვალდებულებების, ასევე, ყალთაბანდობისა და პლაგიარიზმის შედეგების თაობაზე. ეთიკის კოდექსის რაიმე დარღვევის შემთხვევაში, რეგულაციების შესაბამისად საკითხს იხილავს ეთიკის კომისია.

სტუდენტური თვითმმართველობა წარმოადგენს სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისებზე პასუხისმგებელ მეორე დეპარტამენტს. ამ საბჭოს წევრთა ერთი მესამედი სტუდენტია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- http://gtu.ge
- http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/stud_kont_form_mobil_instr_SD_10082017.pdfსტუ-ს სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქცია - ქართულად
- http://gtu.ge/Eng/Pdf/Instruction_for_formation_ing.pdf სტუ-ს სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქცია - ინგლისურად
- http://gtu.ge/Eng/Pdf/Instruction_for_formation_ru.pdf სტუ-ს სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქცია - რუსულად
- http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/martvis_%20instruqc_18_SD.PDF სტუ-ში სასწავლო პროცესის მენეჯმენტის ინსტრუქცია – ქართულად
- http://gtu.ge/Eng/Pdf/Instructions_for_managment_ing.pdf სტუ-ში სასწავლო პროცესის მენეჯმენტის ინსტრუქცია – ინგლისურად
- http://gtu.ge/Eng/Pdf/Instruction_for_management_ru.pdf სტუ-ში სასწავლო პროცესის მენეჯმენტის ინსტრუქცია – რუსულად
- http://gtu.ge/AboutStu/Ethical-Code.php
- http://gtu.ge/pdf/dadgenilebebi/dadgenileba856.pdf
- შეხვედრები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ პერსონალთან, უნივერსიტეტის, IT დეპარტამენტის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, სტუდენტური თვითმმართველობის, კულტურის, სპორტისა და სოციალური საკითხების დეპარტამენტის წარმომადგენლებთან;

რეკომენდაციები:

- ამ დეპარტამენტების პასუხისმგებლობა, სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისების სტუდენტთათვის გაცნობაში, არა არის ყველასათვის ერთნაირად გასაგები.

რჩევები:

- სტუ-მ უნდა შემოიღოს ახალი მეთოდები, რომლებიც შეამცირებს სტატუს-შეჩერებულ სტუდენტთა კოეფიციენტს. ფინანსური დახმარება და /ან სტიპენდიები შესაძლოა იყოს ერთ-ერთი ძირითადი შესაძლებლობა. როგორც ქართველი, ისე უცხოელი სტუდენტები უნდა იყვნენ უფლებამოსილნი ამ სტიპენდიების მიღებაზე.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არცერთი

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუ-ს სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისები ყოვლისმომცველია და მოიცავს სტუდენტურ თვითმმართველობასა და კულტურის, სპორტისა და სოციალურ საკითხთა დეპარტამენტს, რომელთაგანაც ორივე პასუხისმგებელია სტუდენტებზე საკუთარი მანდატის ფარგლებში. ორივე მათგანს გააჩნია მრავლობითი პასუხისმგებლობა - რომელთაგან ზოგიერთს ისინი მართავენ კარგად და რიგ ასპექტებში ორივე მათგანი წარმატებულია საკუთარი ხარისხის გაუმჯობესებაში. არის რამოდენიმე საკითხი, რომლებშიც ისინი უნდა იქნენ იდენტიფიცირებულნი, როგორც შესაძლო საუკეთესო გამოცდილება. ასეთია, მაგალითად, მათ მიერ შემოღებული ახალი აპლიკაცია სახელად „სტუ-ს ცხრილები“, რომლებიც ყველა საჭირო ინფორმაციას აწვდიან უშუალოდ სტუდენტებს. ეს მოიცავს კვირის განრიგს, პროგრამის აღწერილობას, ყველა არჩევითს და იმის შესაძლებლობასაც კი, რომ ატეხონ განგაში რომელიმე საგნის და/ან შესაძლო გამოცდის თუ პრეზენტაციის გამო. ეს ინსტრუმენტი შეიძლება განხილულ იქნეს საუკეთესო პრაქტიკად იმიტომ, რომ მას აქვს უპირატესობა, თუმცა აკლია გარკვეული ასპექტები, რისი გამოსწორებაც ადვილია. ყველა ქართულენოვანი სტუდენტი ახდენს ამ აპლიკაციის იდენტიფიცირებას, როგორც უმთავრესი ინსტრუმენტისა, რომლითაც ამაყობენ და აღწერენ მას როგორც „უზარმაზარ უპირატესობას“, რომელიც უადვილებს ინფორმაციის მიმოცვლას, განახლებული ცხრილებისა და პროგრამის დეტალების ხელმისაწვდომობას. ეს აპლიკაცია მუშაობს ორივე გზით. იგი წარმოადგენს, ასევე, უნივერსიტეტისათვის ინფორმაციის მოგროვების მთავარ წყაროს. იგი გამოიყენება სტუდენტებთან ინფორმაციის გასაზიარებლად და აკადემიური პერსონალის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებულ კითხვარებზე სტუდენტებისაგან პასუხების მისაღებად. თუმცა, ამ საკითხთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ ამ აპლიკაციაში შესასვლელად სტუდენტს უწევს პირადი მონაცემების შეყვანა. ეს კი ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ უნივერსიტეტისადმი მიწოდებული ინფორმაცია არაა ანონიმური. სტუდენტებმა იციან ამის შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტუ-ში არ არსებობს სტუდენტებისაგან ანონიმური ინფორმაციის მიღების რაიმე სხვა მეთოდი, გარდა ქაღალდზე შევსებული შეფასებებისა, რომლებიც არ ტარდება სტუ-ში რეგულარულად. წარმოდგენილი კითხვარების შედეგები ძირითადად ემყარება აპლიკაციის მეშვეობით მოპოვებულ ინფორმაციას. უნივერსიტეტის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ სტუდენტთა კითხვარებიდან მოპოვებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია მხოლოდ რამიდენიმე ადამიანისათვის IT დეპარტამენტიდან და დაცულია. (კითხვარების ანონიმურობის თაობაზე რეკომენდაცია და ამის მიერ გამოწვეულ შესაძლო პრობლემების შესახებ იხილეთ სტანდარტში 2.1.).

ეს აპლიკაცია - სტუ ცხრილები - შექმნილია სამ ენაზე: ქართულად, ინგლისურად და რუსულად. თუმცა, აპლიკაციით სარგებლობა ადვილი არაა საერთაშორისო სტუდენტებისათვის, ვინაიდან მიუხედავად იმისა, რომ თავად აპლიკაცია შექმნილია სამ ენაზე, მასში მთელი ინფორმაცია ცხრილების, კითხვარების, სასწავლო პროგრამების და/ან სიახლეების შესახებ, განთავსებულია და ფუნქციონირებს მხოლოდ ქართულ ენაზე. როგორც საერთაშორისო სტუდენტები აღნიშნავენ - ეს აპლიკაცია მათთვის აბსოლუტურად უსარგებლოა. ექსპერტთა ჯგუფი თანხმდება იმაზე, რომ თუ ეს აპლიკაცია იფუნქციონირებდა სამივე ენაზე ისე როგორც ფუნქციონირებს ქართულად და მთელი ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნებოდა უცხო ენებზეც, მაშინ ეს ინსტრუმენტი თამამად შეიძლებოდა დასახელებულიყო, როგორც საუკეთესი პრაქტიკა სტუ-ს მიერ შექმნილი სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისებში. როგორც ჩანს, საერთაშორისო სტუდენტები უჭირთ თანაბრად ჩართვა სტუ-ს მიერ შეთავაზებულ სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისების ყველა ასპექტში.

ფაქტია, რომ ავტორიზაციის ექსპერტებისათვის წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშსა და დოკუმენტაციას სერიოზულად აკლია მტკიცებულებები სტუ-სკურსდამთავრებულთა ჩართულობისა რაიმე აკადემიურ საკითხებში; თუმცა, ადგილზე ვიზიტმა გამოავლინა კურსდამთავრებულთა მონაწილეობის მტკიცებულებები გადაწყვეტილების მიღების პროცესში პროგრამების გაუმჯობესების საკითხებზე. საერთაშორისო სტუდენტების ჩართულობასა და მათი მხარდაჭერის მომსახურებების თაობაზე არსებობს კიდევ სხვა პრობლემა. ის ფაქტი, რომ სტუ-ს გააჩნია სტუდენტური თვითმმართველობა და კულტურის, სპორტისა და სოციალურ საკითხთა დეპარტამენტი, რომლებიც პასუხისმგებლები არიან სტუდენტთა საჭიროებებზე იქნება ეს სტიპენდიების, ექსტრაკურიკულური აქტივობები თუ სამუშაო ვაკანსიები, სტუდენტები მაინც მეტწილად მიმართავენ მათ ხელმძღვანელს ან ფაკულტეტის დეკანს, ვიდრე სტუდენტთა ხელშეწყობის სერვისებს. სტუდენტთა უმეტესობა გამთვამს სურვილს, რომ მათთან საკომუნიკაციოდ არსებობდეს ერთი პირი . საერთაშორისო სტუდენტების თანახმად, უმჯობესი იქნებოდა თუ საკონტაქტო პირს ეცოდინებოდა უცხო (ინგლისური) ენა, რადგან ზოგჯერ მათ უჭირთ საჭირო ინფორმაციის მიღება აკადემიური პერსონალისაგან, ვინაიდან ესინი არიან მათი ინფორმირების ძირითადი წყარო და ზოგიერთი მათგანი არ ფლობს უცხო ენას კარგად. უფრო მეტიც, ზოგიერთი საერთაშორისო სტუდენტი აღნიშნავს უნივერსიტეტში ქართული ენის დაუფლებისა და სრულყოფის და საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას სურვილს. ამ ასპექტთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ სტუ-ს უკვე შექმნილია აქვს ქართული ენის კლუბი (რომელიც აღნიშნულ იყო სტუდენტური თვითმმართველობის მიერ) და ამ ექსტრაკურიკულუტ აქტივობაში დაინტერესებული ბევრი საერთაშორისო სტუდენტის არსებობის გამო (გასაუბრების პროცესში წარმოდგენილი სტატისტიკის თანახმად), არც ერთმა ინტერვიუირებულმა საერთაშორისო სტუდენტმა არ იცოდა უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული ამ შესაძლებლობის შესახებ. ქართული ენის კლუბის არსებობა , ასევე, არაა აღნიშნული არც ერთ წარმოდგენილ დოკუმენტში. არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ ეს იწვევდეს შეშფოთებას და მიანიშნებდეს, რომ სტუ-ს არა აქვს კარგად ორგანიზებული ინფორმაციის გაცვლის სისტემა უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურებსა და სტუდენტებს, განსაკუთრებით საერთაშორისო სტუდენტებს შორის. საერთაშორისო სტუდენტები უნდა გახდნენ გაუმჯობესების ძირითადი ობიექტი, რადგან ქართველი სტუდენტებისათვის სტუ-ს ცხრილები წარმოადგენს კომუნიკაციისათვის დიდ დახმარებას.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად დასაქმების სამსახური ან კარიერული სერვისები წარმოადგენს კულტურის, სპორტისა და სოციალურ საკითხთა დეპარტამენტის ბევრი ვალდებულებიდან ერთ-ერთს. მთავრი მტკიცებულება, რომელსაც გვთავაზობს თვითშეფასების ანგარიში არის ვებ-გვერდი *cvonline.ge* (თვითშეფასების ანგარიშში შეცდომითაა მითითებული როგორც CV.ONLINE.GE, რომელიც არ ფუნქციონირებს). იგი მითითებულია როგორც ქსელი, რომელშიც შესაძლებელია სტუდენტთა

დაკავშირება პოტენციურ დამსაქმებლებთან. ერთის მხრივ, ვებ-საიტს აქვს დიდი პოტენციალი, თუმცა მისი სარგებელი შეუძლებელია შეფასდეს, რადგან იგი ჯერ ახალია და ჯერ კიდევ მოქმედებს საცდელ რეჟიმში. თუ გაუმჯობესდა, იგი შეძლებს სტუ-ს დამსაქმებელთა ფართო ქსელისა და სამუშაო ვაკანსიების მართვას და თუ გააგრძელებს მუშაობას შეძლებს სტუდენტებს დაეხმაროს პოტენციური სამუშაო ვაკანსიებისათვის მომზადება, მაგრამ ამის შეფასება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მოგვიანებით. მეორეს მხრივ, ამჟამად არსებობს რამოდენიმე ასპექტი, რომლებიც არ ფუნქციონირებენ ისე, როგორც საჭიროა. ადგილზე ვიზიტისას და გასაუბრებებისას დადგინდა, რომ სტუდენტები დიდად არ არიან დაინტერესებულნი ამ ვებ-საიტის გამოყენებით. სტუდენტთა მსგავსად, დამსაქმებლებიც, ასევე, გამოყოფენ შესაბამის ასპექტებს. პირველ რიგში, მათ არასდროს გამოუყენებიათ ეს ვებ-საიტი, რადგან ურჩევნიათ რომ მათ უშუალოდ დაუკავშირდნენ უნივერსიტეტიდან, და/ან უკავშირდებიან უნივერსიტეტს მაშინ, როდესაც ესაჭიროებათ სპეციფიკური უნარების მქონე სტუდენტი. მეორე საკითხია ის, რომ როგორც ისინი აღნიშნავენ, უნივერსიტეტში არაა კონკრეტული პირი ან წარმომადგენელი, რომელზეც მათ ეცოდინებათ, რომ უშუალოდ ეხება კარიერული დახმარების საკითხები. მათ სტუ-დან ყოველთვის სხვადასხვა პირი უკავშირდებათ. როგორც ეს შემოთავაზებულია სტუდენტებისა და დამსაქმებლების მიერ, ერთი წარმომადგენლის ან სამსახურის დანიშვნა კარიერული წინსვლისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების სერვისებში, იქნება ამ საკითხის გაუმჯობესების შემდეგი რეკომენდაცია cvonline.ge ვებ-საიტთან დამატებით, რომელიც სტუ-მ აუცილებლად უნდა გააუმჯობესოს.

სტუ-ს სტუდენტური თითმმართველობა ჩართულია საგანმანათლებლო პროცესების დაგეგმვაში, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაში და ექსტრაკურიკულური აქტივობების მართვაში. სტუ-ს სტუდენტები ხელშეწყობილნი არიან სტუდენტური თვითმმართველობის მიერ სხვადასხვა ექსტრაკურიკულურ აქტივობებში ჩასართველად; სტუდენტებისათვის შეთავაზებულია 14 განსხვავებული კლუბი,

სპორტული და კულტურული აქტივობები. შესაძლებელია დოკუმენტების წარდგენა სტუდენტური თვითმმართველობაში გასაწევრიანებლად უნივერსიტეტში ჩარიცხვის პირველივე დღიდან, მხოლოდ ერთი პირობით, რომ ჩარიცხულია უნივერსიტეტში და აქვს პირადობის მოწმობა.

სტუ-ში ჩარიცხვის შემდეგ, კულტურის, სპორტისა და სოციალურ საკითხთა დეპარტამენტის ვალდებულებაა რომ ჩაატაროს გაცნობითი ხასიათი შეხვედრა, რომლის დროსაც ახლადმიღებულნი მიიღებენ ყველა შესაბამის ინფორმაციას პროგრამების და სწავლის გზების, კანონებისა დარეგულაციების, მათი უფლებებისა და მოვალეობების (მათ შორის ეთიკის საკითხებზე), ბიბლიოთეკისა და IT სერვისების შესახებ; ყველა ჩარიცხულს აქვს სტუ-ს ელ-ფოსტისადმი უფასო ხელმისაწვდომობა. სტუდენტური თვითმმართველობა უზრუნველყოფს, რომ სტუდენტთა ხელშეწყობის მომსახურებები მუდმივად უმჯობესდებოდეს. ისინი აწვდიან საერთაშორისო სტუდენტებს ფლაიერებსა და ბუკლეტებს საქართველოს შესახებ მთელი ინფორმაციით ან იმით, რაც შესაძლოა პოტენციურად დასჭირდეთ. თუმცა, როგორც ადგილზე ვიზიტისას ჯგუფმა დაადგინა, ეს ინფორმაცია არაა საკმარისი უცხიელთა ინფორმირებისათის ყოველდღიური ღონისძიებების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტური თვითმმართველობა ორგანიზებას უკეთებს მრავალფეროვან აქტივობებს ქართველი და საერთაშორისო სტუდენტებისათის, არ ხდება ყველა საერთაშორისო სტუდენტის ინფორმირება ამ აქტივობებზე თანაბრად და დროულად. ამის მიზეზი შესაძლოა იყოს ის, რომ ზოგიერთი ვებ-გვერდი რომლებიც მითითებულია სტუდენტებისათის (http://stunet.ge/) უმეტესწილად ქართულენოვანია და არაა მიმართული საერთაშორისო სტუდენტებისადმი.

მიუხედავად იმისა, რომ სტუ-ს გააჩნია გასაჩივრების პროცედურა, განსაზღვრული „სასწავლო პროცესის მენეჯმენტის ინსტრუქციაში“, არც სტუდენტები და არც პედაგოგები არ არიან კარგად ინფორმირებულნი ამ პროცედურაზე, რადგან იგი ამ დოკუმენტში ცვლილებები შევიდა 2018 წლის ივნისში.

სტუდენტური თვითმმართველობა ეხმარება სტუდენტებს , რომელთაც ესაჭიროება ფინანსური დახმარება სტიპენდიების სახით სანიმუშო მოსწრებისათის, მაგრამ როგორც უკვე აღინიშნა წინა სტანდარტში, სტიპენდიების უმეტესობა არაა ხელმისაწვდომი საერთაშორისო სტუდენტებისათვის. ანალოგიურად, ინფორმაცია სტიპენდიების თაობაზე, ფინანსირებაზე, გრანტებზე, ძირითადად რეგულირდება გამონაკლისის სახით და არაა მკაფიოდ განსაზღვრული. ამგვარად, ჯგუფი იძლევა რეკომენდაციას, რომ დაიწყეთ სტიპენდიების თაობაზე რიგი პროცესების ფორმალიზება და შექმენით სტანდარტი, რომელიც იქნება საჯარო, ყველასათვის ერთნაირად ხელმისაწვდომი და მისცემს თანაბარ შესაძლებლობებს როგორც ქართველ, ისე საერთაშორისო სტუდენტებს.

კიდევ ერთი რჩევაა, რომ სტუ-მ გაამახვილოს ყურადღება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მქონე სტუდენტთა რაოდენობაზე (მორგებული იმ სტუდენტებზე, რომლებიც დასაქმებულნი არიან პროფესიის მიხედვით და არა აქვთ ლექციებზე დასწრების საშუალება - ამგვარად, შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც ანთავისუფლებს მათ ლექციებზე დასწრებისაგან). ჩვენ არ ვიცით მათი ზუსტი რაოდენობა, თუმცა როგორც გასაუბრებებიდან გაირკვა - ეს ხშირი და ჩვეული საქმეა უნივერსიტეტში. უნდა აღინიშნოს, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები უნდა იქნეს შეთავაზებული შერჩევითად მცირე რაოდენობის და არა უმეტეს სტუდენტთათვის. ჩვენის აზრით, ამას ექნება ფართო მასშტაბით უშუალო ზეგავლენა სწავლის შედეგებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- http://gtu.ge
- შეხვედრები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ პერსონალთან, უნივერსიტეტის, IT დეპარტამენტის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, სტუდენტური თვითმმართველობის, კულტურის, სპორტისა და სოციალური საკითხების დეპარტამენტის წარმომადგენლებთან; ადგილზე ვიზიტი.

რეკომენდაციები:

- სტუ-მ უნდა შეარჩიოს ერთი საკონტაქტო პირი ან სტრუქტურული ერთეული, რომელიც იქნება პასუხისმგებელი კარიერული ხელშეწყობის სერვისებზე, დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან კომუნიკაციაზე, და სტუდენტთა დახმარებაზე სათანადო სამსახურის მოძიებაში;
- გააუმჯობესეთ სტუ-ს ცხრილები ინფორმაციის როგორც ინგლისურ, ისე რუსულ ენაზე ხელმისაწვდომობით.
- ჩაატარეთ სტუდენტებში ანონიმური კვლევები;
- დაიწყეთ სტიპენდიების თაობაზე რიგი პროცესების ფორმალიზება და შექმენით სტანდარტი, რომელიც იქნება საჯარო, ყველასათვის ერთნაირად ხელმისაწვდომი და მისცემს თანაბარ შესაძლებლობებს როგორც ქართველ, ისე საერთაშორისო სტუდენტებს.

რჩევები:

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები უნდა იყოს გამონაკლისის სახით, შერჩეული მცირე რაოდენობით სტუდენტებისათვით და არა ხშირი/საერთო პრაქტიკა , შეთავაზებული უნივერსიტეტის დიდი რაოდენობით სტუდენტებისათვის.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას

6.1 კვლევითი საქმიანობა
• უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. • სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა. • უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი სტუ აცნობიერებს სწავლების, კვლევისა და ინდუსტრიის ინტეგრაციას, თანამშრომლობს ეკონომიკურ უწყებებთან და მხარს უჭერს ინოვაციურ განვითარებას. სტუ-ს განსაზღვრული აქვს კვლევის პრიორიტეტები და სფეროები. უნივერსიტეტი ფოკუსირებულია ფუნდამენტურ, გამოყენებით მეცნიერებებზე სტუ უკავშირებს კვლევებს მაღალი ტექნოლოგიების ინდუსტრიას. კვლევებისათვის ფინანსირების გამოყოფის დინამიკა უზრუნველყოფს ყველა სადოქტორო პროგრამის განხორციელებასა და კვლევით აქტივობებს, რომლებიც მითითებულია თვითშეფასების ანგარიშსა და სტარტეგიულ და სამოქმედო გეგმებში. ადგილობრივ და უცხოურ კომპანიებთან თანამშრომლობით შეიქმნა და დაინერგა ბევრი პროდუქტი: სულ 53 პროდუქტია მითითებული თვითშეფასების ანგარიშში. შემდეგი 21 პროდუქტი შესწავლილ იქნა ადგილზე ვიზიტისას და კვლევით ინსტიტუტებთან გასაუბრებისას. ესენია უმაღლესი ხარისხის (საშუალოდ) პროდუქტები. ზოგიერთი მათგანი უნიკალურია (მაგ. ორიგინალური დასაკეცი კოსმოსური რეფლექტორი, ახალი ტიპის ძრავებით და პროტოტიპით ხიდების სწრაფი აწყობისა მრავალმხრივი გამოყენებისათვის). • SCADA ლაბორატორიის საწვრთნელი აპარატი; • მაღალი ტემპერატურების კერამიკული ზეგამტარი და ოთხი კვლევითი ნიმუში; • ელექტრო-ჰიდრავლიკური დანადგარი ნანონაწილაკების დამუშავებისათვის (ასკორბინის მჟავაში ჩართული მაგნიტური ნანონაწილაკები; მაგნიტური ნანონაწილაკების ფხვნილი); • კუთხით მოძრაობის პოზიციის სენსორი; • ადაპტაციური მიკროსენსორული სისტემა ტემპერატურის და ტენიანობის მონიტორინგისათვის მრავალფენოვან საფარში; • სიხშირის მარეგულირებელი დანადგარი’ • ელექტრონული ტიუნინგის ჩანგალი; • ალმასის მილის ტიპის ბურღები - 12-400 მმ დიამეტრის ბუნებრივი ქვების, ბეტონის, გაძლიერებული ბეტონის, კერამიკის, შუშის და ა.შ. დასამუშავებლად; • ალმასის დისკები -300-600 მმ ბუნებრივი ქვების, ბეტონის, გაძლიერებული ბეტონის, ასფალტის, კერამიკის და ა.შ. საჭრელად; • თერმული საიზოლაციო მასალები და ბეტონის შემავსებელს ენერგოეფექტური ნაგებობებისათვის; • დაჩქარებული და მაღალი კლასის ბეტონი; • ზოგიერთი მათგანი უნიკალურია (მაგ. ორიგინალური დასაკეცი კოსმოსური რეფლექტორი, ახალი ტიპის ძრავებით და პროტოტიპით ხიდების სწრაფი აწყობისა მრავალმხრივი გამოყენებისათვის; • რიგი ანალიტიკური ინსტრუმენტების დიზაინი და წარმოება და ავტომატური ინფორმაციის საზომი სისტემები: გამტარობის მრიცხველი CEL-1M2 ნებისმიერი სპეციალური გამტარობის საზომად; თირკმელის ადგილობრივი ჰიპოთერმიის მანქანა, რომელიც გამოიყენება ურولოგიური ოპერაციებისას; კოროზიის გაზომვისა და სხვადასხვა იონებით აღდგენის პოტენციალის დანადგარი; PH - მეტრი, კოროზიის და აღდგენის პოტენციალი გასაზომად წყლის იონებით; ბუნებრივი აირის გაჟონვის მრიცხველი; • ხის მასალათა დამზადებისა და დამუშავების მანქანები, ახალი ინსტრუმენტები და იარაღები; • რეზერვუარებში წყლის დონისა და ტემპერატურის რეგულირების სისტემები, წყლის კომპლექსური ავტომატური პურიფიკაციისათვის; • ელექტროენეგიის უსადენო გადაცემის სისტემა; • ელექტროენეგიის დიდ მანძილზე გადაცემის სისტემა;

- ელექტრომაგნიტური რეზონანსის პრინციპზე დაფუძნებული მაცივარი;
- აეროდინამიკური რობოტი;
- ლუმინესცენცია და LED სინათლის მოდიფიცირების მართვის სისტემა;
- მიკროპროცესინგის იონის გამზმი მოწყობილობა გრაფიკული ჩვენების ბაზაზე ქართული ინტერფეისით.

სტუ-ს აქვს ხანგრძლივი თანამშრომლობა ძირითად სატელეკომუნიკაციო, ენერგეტიკის, ენერგო-სადიტრიბუციო, მეტალურგიულ, სამთო მეურნეობისა და საქართველოს სხვა კომპანიებთან. ამ კომპანიების მენეჯმენტთან ინტერვიუებმა ნათლად აჩვენა მათი ერთგულება სტუ-ს, როგორც მთავარი პარტნიორისადმი, ტექნიკური ექსპერტიზისა და პერსონალის ტრეინინგის სფეროში. 900-ზე მეტი დაკვეთაა მიღებული ბოლო 5 წლის განმავლობაში, 3 მილიონი ლარზე მეტი ღირებულებით და ამ პროცესს აქვს მზარდი ტენდენცია. იმავდროულად, ეს კომპანიები წარმოადგენენ სტუ-ს კურსდამთავრებულთა ძირითად დამსაქმებლებს.

სტუ-ს კვლევების ფინანსირების ძირითად წყაროს წარმოადგენენ მთავრობის მიერ დაფინანსებული კვლევითი ინსტიტუტები (18.5 მილიონი ლარი). ამას გარდა, კვლევების დაფინანსება ეყრდნობა საგრანტო პოლიტიკას, მათ შორის დაფინანსებას შოთა რუსთაველის ეროვნული ფონდიდან (1.5 მილიონი ლარი) და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდებიდან, უნივერსიტეტის შიდა გრანტებს (2 მილიონი ლარი) და სადოქტორო და სამაგისტრო სტუდენტური გრანტებისაგან. საერთო ჯამში 2013 წლიდან დაფინანსებული საგრანტო პროექტების რაოდენობა არის
200. ამასთან ერთად, საერთაშორისო პროექტები მოიცავს კონსორციუმს ინგლისის გრანფილდის უნივერსიტეტთან, საბერძნეთის პერსის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან, ბელგიის "Intelligentsia" კონსულტანტაბთან, საფრანგეთის გრენობლის აკადემიასთან, პორტუგალიის პრომოუტერ ქვეყანასთან (ესპანეთის უნივერსიტეტი), საქართველოს პარტნიორი ქვეყნის მოლდოვის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, აზერბაიჯანის ტექნიკურ უნივერსიტეტთან, რუმინეთის ჯასსი უნივერსიტეტთან, საბერძნეთის სასოფლო სამეურნეო უნივერსიტეტთან, იტალიის რომის უნივერსიტეტთან, ესპანეთის ჟირონის უნივერსიტეტთან, ბულგარეთის პლოვდივის აგრარულ უნივერსიტეტთან, შვედეთის სტოკჰოლმის უნივერსიტეტთან, უკრაინის ტარასც შევჩენკოს უნივერსიტეტთან, გერმანიის "Steinbeis Innovation gGmbH, SIG", რუმინეთის ტექნიკურ უნივერსიტეტთან,
სლოვაკიის აგრარულუნივერსიტეტთან ნიტრაში, უკრაინის NTUU KPI-თან, PEWI-თან, NIP-თან, ბელარუსის BSATU-თან.

სტუ-ს აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები და სტუდენტთა გაცვლის ხელშეკრულებები 200-მდე უცხოურ და ადგილობრივ ორგანიზაციასთან.

სტუ 2018 წელს მასპინძლობდა 14 (უმეტესწილად საერთაშორისო) სამეცნიერო კონფერენციას . სამეცნიერო კონფერენციების დონე მაღალია, თუმცა სტუ-ს უფრო მეტმა მეცნიერმა და სტუდენტმა უნდა მიიღოს მათში აქტიური მონაწილეობა. ეს შესაძლოა გაკეთდეს მოგზაურობაზე ფინანსირების წარმოდგენით შიდა და სხვა საგრანტო პროექტებში და ასევე, კვლევითი ინსტიტუტების ბიუჯეტებში.

სტუ-ს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი აქვეყნებს პუბლიკაციებს უნივერსიტეტის ჟურნალებში, ისევე, როგორც მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე სხვა სამეცნიერო პერიოდულ გამოცემებში. პუბლიკაციების საერთო რაოდენობა დიდია. უნივერსიტეტის ვებ-საიტი მოიცავს ფაკულტეტებისა და კვლევითი ინსტიტუტების პერსონალის განახლებად ბაზას, მათ შორის მონოგრაფიებს, სახელმძღვანელოებს, დამხმარე სახელმძღვანელოებს, საქართველოში და საზღვარგარეთ გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს, სტუ-ს, შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საერთაშორისო გრანტებს და სხვა სახის ინფორმაციას.

სტუ აღიარებულია საქართველოს უნივერსიტეტებს შორის მე-11 ადგილზე - Webometrics (http://www.webometrics.info/en/Europe/Georgia%20)

სტუ-ში სადოქტორო ნაშრომების შეფასება და მათი დაცვა რეგულირდება „დოქტორანტურის რეგულაციების დებულებით“ და სადისერტაციო საბჭოს დებულებით, რომელთა თანახმადაც უზრუნველყოფილია საჯაროობა, გამჭვირვალობა და ლეგიტიმურობა. ადგილზე ვიზიტისას სესწავლილ იქნა 20-მდე სადოქტორო და სამაგისტრო ნაშრომი. მათი უმეტესობა დაბალი ხარისხისაა. მითითებები გაკეთებულია ძველ ლიტერატურაზე (1960-იანი წლების). ბევრ მათგანში ციტირებული ლიტერატურა იყო მხოლოდ ინტერნეტის ვებ- გვერდები. თუმცა, იყო რამოდენიმე მაღალი ხარისხის ნაშრომი ფიზიკაში.

სტუ-ს დოქტორანტთა რაოდენობის თანაფარდობან მათ ხელმძღვანელებთან მოცემულია თვითშეფასების ანგარიშში და საშუალოდ შეადგენს 2.16. ჩვენმა გასაუბრებებმა დაადასტურა ეს თანაფარდობა. გასაუბრებების თანახმად, ხელმძღვანელები კმაყოფილნი არიან თავიანთი დატვირთვით დოქტორანტთა ხელმძღვანელობის კუთხით. დოქტორანტებმა, თავის მხრივ, განაცხადეს, რომ კმაყოფილები არიან ხელმძღვანელობის ხარისხით.

ინტელექტუალური საკუთრების (IP) დაცვის სამსახური უნდა იქნეს მოდერნიზებული. ამჟამად, იგი არაა შესაფერისი ახალ ქართულ პატენტის სამსახურთან და საერთაშორისო IP ოფისებთან ურთიერთქმედებისათვის

(როგორებიცაა WTO, US patent office, EU patent office და სხვ.). ინტელექტუალური საკუთრების პატრონის (ჩვეულებისამებრ უნივერსიტეტის) და გამომგონებლის პროცენტული წილები უნდა იყოს განსაზღვრული ინდივიდუალურ კონტრაქტებში აკადემიურ და კვლევით პერსონალთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უსდ-ს მისია;
- უსდ-ს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო/ შემოქმედებითი საქმიანობა http://science.gtu.ge/;
- საერთაშორისო და ადგილობრივ ინსტიტუციებთან ხელმოწერილი მემორანდუმები;
- სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების 7 წლიანი გეგმები;

- სტუ-ს წლიური ანგარიშები;
- მიმდინარე და განხორციელებული კვლევითი პროექტები (http://science.gtu.ge/cat/1);
- სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 მარტის დედგენილება №01-05-04/44 „სტუ-ს სადოქტორო ხარისხი“;
- სტუ-ს 2017 წლის 27 თებერვლის №2324 „უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს რეგულაციები“;
- ხელმძღვანელთა და დოქტორანტთა თანაფარდობა;
- სტუ-ს მიერ ჩატარებული სტუდენტთა კვლევის შედეგები;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 მარტის დადგენილება №2356 „საგრანტო ნომინაციის საპროექტო წინადადების პრეზენტაციის, განხილვისა და შეფასების პროცედურია თაობაზე“;
- სტუ-ს სამეცნიერო კონფერენცია (http://gtu.ge/Science/Conference/);
- ინფორმაცია სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ პროექტებზე (http://science.gtu.ge/cat/14);
- სტუ-ში რეალიზებულ პროდუქციაზე;
- სტუ-ს მონოგრაფიები - http://publishhouse.gtu.ge/ge/cat/mono;
- სახელმძღვანელოები -http://publishhouse.gtu.ge/ge/cat/books;
- „ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების თანაფარდობა 2015-2016წწ“ და „ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების თანაფარდობა 2016-2017წწ“;
- უნივერსიტეტის შიდა გრანტები (http://science.gtu.ge/cat/13)

რეკომენდაციები:

- მოახდინეთ სადოქტორო დისერტაციის დაცვისა და ხარისხის მინიჭების პროცესის რეორგანიზაცია. მნიშვნელოვნად გაზარდეთ სადისერტაციო საბჭოს წევრთა რაოდენობა და გახადეთ მეტი გარე წევრების მონაწილეობა სავალდებულო. სადოქტორო დისერტაციის დაცვა უნდა ხდებოდეს სადისერტაციო კომიტეტის წინაშე, რომელშიც უნდა შედიოდეს გარე ექსპერტებიც. სადისერტაციო ნაშრომი უნდა მტკიცდებოდეს არა მხოლოდ შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს მიერ, არამედ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს, ან რომელიმე სხვა ცენტრალური ერთეულის მიერ.

რჩევები:

- განსაზღვრეთ უფრო მკაფიოდ „მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალის“ მნიშვნელობა და ზოგადად, მოთხოვნები სადოქტორო ნაშრომების მიმართ.
- გაზარდეთ ქართველ მეცნიერთა მონაწილეობა სტუ-ს მიერ ორგანიზებულ კონფერენციებში და ზოგადად. დარწმუნდით, რომ მოგზაურობაზე ფინანსირება წარმოდგენილია შიდა და სხვა საგრანტო პროექტებში და ასევე, კვლევითი ინსტიტუტების ბიუჯეტებში.
- ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სამსახური უნდა იქნეს მოდერნიზებული. ინტელექტუალური საკუთრების პატრონის (ჩვეულებისამებრ უნივერსიტეტის) და გამომგონებლის პროცენტული წილები უნდა იყოს განსაზღვრული ინდივიდუალურ კონტრაქტებში აკადემიურ და კვლევით პერსონალთან.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- სტუ-ს აქვს ხანგრძლივი თანამშრომლობა ძირითად სატელეკომუნიკაციო, ენერგეტიკის, ენერგო-სადიტრიბუციო, მეტალურგიულ, სამთო, სოფლის მეურნეობისა და საქართველოს სხვა კომპანიებთან. ამ კომპანიების მენეჯმენტთან ინტერვიუებმა ნათლად აჩვენა მათი ერთგულება სტუ-ს, როგორც მათი მთავარი პარტნიორისადმი, ტექნიკური ექსპერტიზისა და პერსონალის ტრეინინგის სფეროში. იმავდროულად, ეს კომპანიები წარმოადგენენ სტუ-ს კურსდამთავრებულთა ძირითად დამსაქმებლებს.
- სტუ-ს გააჩნია სტატიების, პატენტებისა და საგრანტო პროექტების კარგად ორგანიზებული მონაცემთა ბაზა, საძიებოთი სამეცნიერო ინსტიტუტების, ავტორთა გვარების, თარიღების და ა.შ. მიხედვით.

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში.
- უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი
სტუ-ს კვლევებისა და განვითარების დაფინანსება მოიცავს: შიდა საუნივერსიტეტო გრანტებს (2012-2017წწ. აღწევს 2,367,932 ლარს), შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის თანადაფინანსება, სტუ

(2012-2017წწ. აღწევს 1,273,654 ლარს) და სახელმწიფო ფინანსირება (2013-2017წწ. აღწევს 18,574,073 ლარს).

კვლევების დაფინანსება სტუ-ში წარმოებს საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურებით; განსაკუთრებით, სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 3 აპრილის #2 დადგენილება „საპროექტო წინადადების წარდგენის, განხილვისა და შეფასების წესების“ შესაბამისად .

ზემოაღნიშნული წესი მიზნად ისახავს სამეცნიერო პოტენციალისა და კვლევების ხარისხის, პერსონალისა და სტუდენტების ინტელექტუალური, შემოქმედებითი აქტივობების გაზრდასა და გაუმჯობესებას, მეცნიერებისა განვითარების ხელშეწყობას და მის კომერციალიზაციას. პროექტი შეიძლება შეტანილ იქნეს ნებისმიერი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებისა და უნივერსიტეტის მიერ. განმახორციელებული ჯგუფის წევრები შესაძლოა იყვნენ მხოლოდ უნივერსიტეტის პერსონალი და სტუდენტები. უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების მიერ პროექტები საკუთარი ბიუჯეტებიდან ფინანსდება ყოველწლიურად. გარდა ამისა, პროექტები შესაძლებელია დაფინანსდეს სხვა წყაროებიდან, რომლებიც დამტკიცებულია კანონმდებლობით. გამარჯვებული პროექტები იდენტიფიცირდება კონკურენციის საფუძველზე, რომელსაც ატარებს საკონკურსო კომისია. პროექტები ფასდება დადგენილი წესებითა და კრიტერიუმებით. შეფასების კრიტერიუმენი უშუალოდაა დაკავშირებული პროექტის ხარისხთან და კომისიას უნდა ჰქონდეს საჭირო ინფორმაცია ობიექტური შეფასების გამოსატანად. საკონკურსო კომისიის მიერ გამარჯვებულთა ნომინაციის შემდეგ, შედეგები ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-საიტზე. შიდა გრანტები მისასალმებელი პრაქტიკაა. ისინი საშუალებას იძლევიან მცირე კვლევებისა და განვითარების პრობლემების გადაჭრას, რომლებიც არ მოითხოვენ დიდი საპროექტო წინადადებების მომზადებას გარე ფინანსირების წყაროებისათვის.

ზემოაღნიშნული წესის თანახმად შექმნილი პროდუქტი წარმოადგენს უნივერსიტეტისა და პროდუქტის ავტორების საერთო საკუთრებას. საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფო, საერთაშორისო და სხვა კონკურსებში უნივერსიტეტის სახელით წარსადგენი წინადადებების განხილვა ხდება ამ დებულების შესაბამისად შექმნილი კომისიის მიერ. მიუხედავად ამისა, საერთო საკუთრების მნიშვნელობა მკაფიოდ არაა განსაზღვრული.

სტუ-ს ცენტრალური და საფაკულტეტო ბიბლიოთეკები უქმნიან უნივერსიტეტის პერსონალს და სტუდენტებს შესაძლებლობას, რომ ისარგებლოს საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციებითა და მონოგრაფიებით. ბიბლიოთეკა რეგულარულად მარაგდება სამეცნიერო პუბლიკაციებით, მონოგრაფიებით და სახელმძღვანელოებით. არსებობს საერთაშორისო სამეცნიერო და ტექნოლოგიურ მონაცემთა ბაზებზე ხელმისაწვდომობა. თუმცა, ცენტრალური ბიბლიოთეკის სამუშაო ადგილები 8 წლის წინანდელია და უნდა იქნენ განახლებული, ნაწილობრივ მაინც.

ახალგაზრდა მკვლევარები და სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი საერთაშორისო თანამშრომლობაში CERN-თან, JRC-თან, JINR-თან და სხვ.

2015 წლიდან დაწყებულია ახალი პროგრამები „ჰორიზონ 2020“ (ყოფილი FP7) და „ერაზმუს+“. ერაზმუს მუნდუსი და ერაზმუს+ გაცვლით პროექტებში პროფესორები და პედაგოგები მონაწილეობენ სტუდენტებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან ერთად; მათ ეძლევათ შესაძლებლობა ლექციებისა და სემინარების ჩატარებისა პარტნიორ უნივერსიტეტებში, აიმაღლონ უნარები, მიიღონ გამოცდილება და წვლილი შეიტანონ უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პროცესში. უცხოელი პროფესორები მოწვეულ იქნენ მსოფლიოს მოწინავე უნივერსიტეტებიდან (43 პროფესორი: აშშ-დან, გერმანიიდან, ავსტრიიდან, იტალიიდან, ნიდერლანდებიდან, კანადიდან, შვეიცარიიდან, პოლონეთიდან, პორტუგალიიდან).

სტუ აქტიურად მონაწილეობს ტემპუსის პროგრამაში უმაღლესი განათლების რეფორმის ხელშეწყობისა და ევროპის პარტნიორ ქვეყნებთან ევროპული სტანდარტების დანერგვის გათვალისწინებით თანამშრომლობის განვითარების, თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და ა.შ. მიზნით. სტუ-ს გამხორციელებული აქვს ტემპუსის პროგრამის 15 პროექტი.

სტუ მონაწილეობს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ FP7 პროგრამაში, რომელიც უზრუნველყოფს კვლევების დახმარებას. უნივერსიტეტს განხორციელებული აქვს ექვსი პროექტი კვლევებისა და ტექნოლოგიური განვითარებისათვის მეშვიდე ჩარჩო-პროგრამის ფარგლებში.
უნივერსიტეტს წარმატებით აქვს გავლილი ერაზმუს+ აპლიკაციის პროცესი და ამჟამად ახორციელებს ერაზმუს+ KA2 გრანტის ინსტიტუციური განვითარების 3 პროექტს და კიდევ 13 პროექტი წარდგენილია კონკურსზე.

სტუ-ს გააჩნია პარტნიორული ურთიერთობები მსოფლიოს მოწინავე საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებთან. მას ხელმოწერილი აქვს 200-ზე მეტი მემორანდუმი ადგილობრივ და საერთაშორისო, მათ შორის აშშ-ს და ევროპის, ისევე როგორც აზიის ქვეყნების უსდ-ებთან და ორგანიზაციებთან.

სტუ პროექტების თაობაზე ინფორმაციას განათავსებს სტუ-ს ვებ-საიტზე, სოციალურ მედიაში და ვიდეო პორტალზე STUNET.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს საერთაშორისო კონფერენციების, სიმპოზიუმების, სემინარების და სხვა ღონისძიებების ორგანიზებასა და გაშუქებას უნივერსიტეტში კვლევების დახმარებისა და ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში.

სტუ არის Thomson Reuters International Web Site-ის წევრი, რაც საშუალებას აძლევს აკადემიურ, სამეცნიერო პერსონალსა და სტუდენტებს ისარგებლონ ასობით მაღალ-პროფილიანი გამოცემით. ქსელი, ასევე, იძლევა კავშირის დამყარების შესაძლებლობას ნამუშევრების ავტორებთან; ეს მეტად მნიშვნელოვანია საერთაშორისო ურთიერთობების გამყარებისათვის.

მაღალი სტანდარტის კვლევის განხორციელებისათვის სტუ გეგმავს ახალი ორგანიზაციული ერთეულების შექმნას, რომლებიც ხელს შეუწყობენ ინსტიტუციური ქსელების შექმნასუსდ-ებს შორის რეგიონულ და საერთაშორისო დონეებზე. შეიქმნება ფაკულტეტის ახალი ორგანიზაციული ერთეულები, საუნივერსიტეტო ინსტიტუტები - სადოქტორო და სამაგისტრო ფაზებისათვის (სკოლები და კოლეჯები). მაღალი რეიტინგის კვლევითი ჯგუფებისათვის - „შესანიშნავი კლასტერები“ და ცოდნის გადაცემის სტრუქტურები, რომლებიც უზრუნველყოფენ ახალი კვლევითი თემების იდენტიფიცირებას, მათ სისტემატურ დახმარებას და გაძლიერებას. უფრო მეტიც, ტრადიციული ორგანიზაციული სტრუქტურების (ფაკულტეტი, დარგის დეპარტამენტები) მოდერნიზება და გაძლიერება, რომლებშიც განხორციელდება უსდ-ს ფუნქციონირებისათვის არსებითი სხვადასხვა ტიპის სწავლება-კვლევები. იმავდროულად, ტრადიციულმა სტრუქტურებმა უნდა ითანამშრომლონ ახალ სტრუქტურებთან საკეთესო შესაძლო გზით, რაც წარმოადგენს წინაპირობას მეცნიერების კომპლექსური და დინამიური განვითარებისათვის. ამრიგად, ორგანიზაციის მატრიცის განსხვავებული დონეები და ვარიანტები წარმოადგენენ თანამედროვე უნივერსიტეტის არსებით კომპონენტებს.

სტუ-ს აქვს სტუდენტთა საინჟინრო აკადემია, ახალგაზრდა მეცნიერთა დახმარებისა და სტუდენტთა ინოვაციური აქტივობების ცენტრი „ერთად“, „სტუდენტთა მომსახურების ცენტრი“. ზემოხსენებული მომსახურება ხელს უწყობს ახალგაზრდების კვლევითი პოტენციალს და წაახალისებს მათ ინტერესს კვლევებში ჩართვისადმი. უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტთა შემოქმედებით აქტივობებს.

სტუ არის ბევრი საერთაშორისო ქსელის და ასოციაციის წევრი, მათ შორის ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის (EUA), საერთაშორისო ტელეკომუნიკაციების კავშირის (ITU), შავი ზღვის უნივერსიტეტების ქსელის (BSUN), ამერიკული კოლეჯებისა და უნივერსიტეტების (AAC & U) და ა.შ.

სტუ-ს გააჩნია წარმატებული მსოფლიოს მოწინავე საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებთან, როგორებიცაა: იაპონიის მაღალი ენერგიების დამაჩქარებლის კვლევითი ორგანიზაცია - KEK, გერმანიის იელიხის კვლევითი ცენტრი, ატომური კვლევის ევროპის ორგანიზაცია - CERN (შვეიცარია), ერთობლივი ატომური კვლევის ინსტიტუტი - JINR (დუბნა, რუსეთი), ატომური ფიზიკის ლიცელის ინსტიტუტი - INFN და სხვ.

ოთხი პროექტი იქნა წარმატებით განხორციელებული ერთობლივი ხელშეკრულების ფარგლებში სტუ-სა და CMS (LHC, CERN) შორის. გარდა ამისა, სტუ ჩართულია მილენიუმის გამოწვევის ფონდი - საქართველოს პროექტში, რომელიც მიცავს სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს (SDSU) და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომლებშიც ხორციელდება სამი საბაკალავრო პროგრამა საქართველოში. ასევე, მოქმედებს ორი საგანმანათლებლო პროგრამა ABET -ის მიერ აკრედიტებული საბაკალავრო პროგრამა: სამოქალაქო ინჟინერია და სამშენებლო ინჟინერია.

სტუ-სა და აიოვას სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, უნივერსიტეტები ახორციელებენ ერთობლივ პროექტებს, მათ შორის საერთაშორისო ინფორმაციის ფონდის, USAID და NATO-ს დაფინანსებული პროექტები. აიოვას სახელმწიფო უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულების ფარგლებში, სტუ ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებს აგროკულტურის, აგრონომიისა და ნიადაგისა და წყლის ინჟინერიის ბაკალავრის ხარისხის მინიჭებით. ხელშეკრულება ითვალისწინებს ამ პარტნიორობის ფარგლებში აიოვას უნივერსიტეტის არსებული პროგრამების დანერგვას. უცხოელი კოლეგები აიოვას უნივერსიტეტიდან მოწვეულ იყვნენ სტუ-ში.

2015 წლიდან ვილტშირის , ფრენსბურგის და ბრანდენბურგის უნივერსიტეტები და სტუ-ს ლოჯისტიკის დეპარტამენტი ახორციელებენ საბაკალავრო პროგრამას ლოჯისტიკაში.

საქართველო-გერმანიის სამეცნიერო ხიდის ფარგლებში, სტუ თანამშრომლობს გერმანიის იელიხის კვლევით ცენტრთან. თანამშრომლობის მიზანია ბაკალავრიატის სტუდენტთა, მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ჩართვის ხელშეწყობა მსოფლიოს მოწინავე სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში გამოცდილების გაზიარებით, მათ შორის სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროექტები იელიხის კვლევით ცენტრში. 2012-2015 წწ. შოთა რუსთაველის სამეცნიერო ეროვნული ფონდისა და იელიხის კვლევითი ცენტრის საგრანტო კონკურსი იყო გამოცხადებული და სტუ-მ გაიმარჯვა იელიხში მაგისტრანტთა და დოქტორანტთა განხორციელებულ კვლევაში. 2010.-2017.
სტუ-ს 49 სტუდენტმა გაიარა სტაჟირება იელიხის ცენტრში. ცენტრის ნეირომედიცინის ინსტიტუტისა დახმარებით სტუ ახორციელებს პროგრამას „სამედიცინო ფიზიკაზე“.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტთან ერთად, სტუ

ახორციელებს ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამას „ბიოსამედიცინო იმჟინარია“, რომელიც შემუშავდა ტემპუსის პროგრამის BME-ENA Biomedical Engineering Education Tempus Initiative in Eastern Neighboring Area (პროექტის ნომერი:543904-TEMPUS-1-2013-1-GR-TEMPUS-JPCR). პროექტის ფარგლებში გაუმჯობესდა ლაბორატორიული ბაზა. პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია სააკრედიტაციო საბჭოში 25.08.2010წ. (№ 125). აკრედიტაცია მიენიჭა 7 წლით.

საერთაშორისო პროგრამა „საშემოდგომო ლექციები თბილისში“ ფარგლებში, 2013 და 2015 წლებში იტალიელი და გერმანელი სტუდენტები მონაწილეობას იღებდნენ სტუ-ს სტუდენტებთან ერთად. ლექციებს ატარებდნენ იელიხის კვლევითი ცენტრის პროფესორები და მასწავლებლები. კონტრაქტის ფარგლებში იელიხის კვლევითმა ცენტრმა გადმოსცა ტექნიკური აღჭურვილობა სტუ-ს ლაბორატორიას, რომელიც გამოადგებოდა საერთაშორისო სტანდარტის კვლევით პროექტებს.

საქართველო-ბელარუსიის კომპანიებთან თანამშრომლობით, პირველად საქართველოში, დაიწყო ევროპული სტანდარტების შესაბამისი სამგზავრო და სატვირთი ლიფტების წარმოება სტუ-ს სამეცნიერო-ინდუსტრიულ ცენტრში.

საერთაშორისო საგრანტო პროექტების სია, საერთაშორისო თანამშრომლობა და სტუდენტთა გაცვლა არის შთამბეჭდავი. ადგილზე ვიზიტისას ჯგუფი წააწყდა ბევრ ასეთ მაგალითს. ეს ასევე, კარგადაა წარმოდგენილი ვებ-გვერდზე http://science.gtu.ge/, რომელსაც კარგი საძიებო მონაცემთა ბაზა აქვს (სამწუხაროდ მხოლოდ ქართულ ენაზე).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგრანტო წინადადებეის წარდგენის, განხილვისა და შეფასების პროცედურები, დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 3 აპრილის No.2 დადგენილებით.
- უნივერსიტეტის ვებ- მისია;
- უნივერსიტეტის წესდება;
- უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- სტუ-ს ბიუჯეტი;
- სტუ-ს მიერ ჩატარებული სტუდენტთა კვლევის შედეგები;
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და სტრატეგია;
- წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 3 აპრილის No.2 დადგენილება საგრანტო წინადადებების წარდგენის, განხილვისა და შეფასების პროცედურების შესახებ
- შემოქმედებითი აქტივობების კვლევის, განვითარებისა და ფინანსირების დინამიკა, გათვალისწინებული ბოლო 5 წლის ბიუჯეტებში;
- კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმები;
- უნივერსიტეტის მიერ ხელშეწყობილი ახალგაზრდა მკვლევართა (მაგისტრანტთა, დოქტორანტთა) ინიციატივები;
- სტუ-ს მიერ ჩატარებული სტუდენტთა კვლევის შედეგები;
- ერთობლივი კვლევითი აქტივობები საერთაშორისო ორგანიზაციებთან;
- ინსტიტუციონალური თანამშრომლობა საერთაშორისო კვლევით ერთეულებთან;
- პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობა საერთაშორისო სამეცნიერო/შემოქმედებით-მხატვრულ აქტივობებში;
- ადგილობრივ და უცხოელ პროფესორთა თანხელშეწყობის სტატისტიკა;
- სტუ-ს ყოველწლიური სტუდენტური კონფერენცია;
- რობოტებისა და ავტომატური მანქანების მენეჯმენტის საერთაშორისო პროექტი;
- სტუდენტების საინჟინრო აკადემიის დებულება;
- „ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა ინოვაციური აქტივობების დამხმარე ცენტრის - „ერთად“ დებულება;
- კომპიუტერულ სპორტში თბილისი ღია ჩემპიონატი (მსოფლიო თასის საკვალიფიკაციო ტურნირი) GameFest 2017
  - ფესტივალი;
- სტუდენტურიკონფერენციები კოლექცია;
- სტუ-ს კვლევითი ინსტიტუტებისა და ფაკულტეტების საერთაშორისო კავშირები;
- ატომური სწავლების ევროპული ცენტრის პროექტი „ატლასი“;
- განზარახულობათა ოქმი მეცხოველეობის კომბინირებული პროდუქციის წარმოების დაარსებაზე საქართველოში (სტუ და “MogiliovLiftMash” ბელარუსიდან);
- ინსტიტუციონალური თანამშრომლობა საერთაშორისო კვლევით ერთეულებთან;
- სტუ-ს კონტრაქტები საერთაშორისო ორგანიზაციებთან;
- ხელშეკრულებები საერთაშორისოკვლევით ცენტრებთან და უნივერსიტეტებთან;
- სტუდენტთა წარმატება კონკურსებსა და სხვა აქტივობებში საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში.
- ერთობლივი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები ან პოტენციური პარტნიორების მოძიების გეგმა მათ განსახორციელებლად;
- უცხოელ და ადგილობრივ პროფესორთა სტატისტიკა, სტუდენტური სერტიფიკატი “საქართველო-გერმანიისსამეცნიერო ხიდი” http://collaborations.fz-juelich.de/ikp/cgswhp/cgswhp12/index.shtml

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

- კარგი იქნებოდა თუ სტუ ჩართავს მეტ ახალგაზრდა აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს კვლევებსა და განვითარებაში.
- ცენტრალური ბიბლიოთეკოს კომპიუტერები ნელია. ისინი 8 წლისაა და საჭიროა მათი გამოცვლა, ნაწილობრივ მაინც.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- კვლევებსა და განვითარებაზე სტუ უზრუნველყოფს შიდა გრანტებს 2 მილიონზე მეტი ლარის ოდენობით ყოველწლიურად.
- სტუ მონაწილეობს ბევრ საერთაშორისო დაფინანსებულ კვლევით პროექტში.
- სტუ-ს აქვს ხანგრძლივი სტრატეგიული თანამშრომლობა მსოფლიო კლასის კვლევით ცენტრებთან, როგორებიცაა Juelich Research Center (ჯუელიში, გერმანია), ნაწილაკების ფიზიკის კვლევითი ცენტრი CERN (ჟენევა, შვეიცარია) და JINR (დუბნა).
- Juelich Research Center-ის 20 პროფესორი რეგულარულად სტუმრობს სტუ-ს და ატარებს საშემოდგომო ლექციებს სტუ-სა და საქართველოს სხვა უნივერსიტეტების სტუდენტებისათის. რეგულარულად ტარდება ვორქშოპები „საქართველო-გერმანიის სამეცნიერო ხიდის“ პროექტის ფარგლებში.

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

უსდ-ს აქვს კვლევითი / შემოქმედებითი საქმიანობის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების პროდუქტიულობის და აკადემიური / სამეცნიერო პერსონალის ხარისხის შეფასების და ანალიზის სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 მარტის №2356 დადგენილებით „საგრანტო ნომინაციის საპროექტო წინადადებების წარდგენის, განხილვისა და შეფასების პროცედურების დამტკიცების შესახებ“, ჩამოყალიბებულია გარე დაფინანსების მოსაპოვებლად წარსადგენი წინადადებების შეფასების წესები.

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეგულაციები მის მუხლებში 3 – 2, მოიცავს სტუ-ში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესს. თუმცა, ამგვარი შეფასების ჩატარების მტკიცებულება ვერ იქნა წარმოდგენილი.

სტუ-ს შემუშავებული აქვს საკუთარი სისტემა კვლევის ხარუსხის შეფასებისა და ანალიზისათვის. ესაა აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შიდა საგრანტო პროექტებში შეტანილი წვლილის შეფასების ავტომატური სისტემა, რომელიც შემუშავდა შიდა ფინანსირების საფუძველზე (პროექტის ნომერი 17/04/2016). იგი მოიცავს შეფასების მეთოდების შემუშავების, შეფასების კრიტერიუმების და შესაფასებელი პერსონალის სიას. იგი აღწერს შეფასების პროცესს და იძლევა შეფასების კრიტერიუმების, შეფასების შედეგების და შემფასებელი ექსპერტების სახელების საბოლოო სიებს. შემუშავებული სისტემა ავტომატიზირებულია და მოიცავს ინტერფაისებს, რომლებიც წარმოდგენილია ზემოხსენებული ანგარიშში სურათების სახით (კომპიუტერის ბეჭდის სკრინი).

სტუ-ს შემუშავებული აქვს კვლევითი პროექტების კარგად ძიებადი მონაცემთა ბაზა (http://science.gtu.ge/). მონაცემთა ბაზა ძიებადია ინსტიტუციების, ავტორების, თარიღების, პუბლიკაციის სახეების (სტატია, პატენტი და ა.შ.), საგრანტო პროექტების (შიდა, გარე, საერთაშორისო), კონფერენციების და სხვ. მიხედვით. მას, ასევე, გააჩნია სტატისტიკის სექცია, სადაც შესაძლებელია ყველაფერი ზემოხსენებულის მოძიება ციფრებში. სამწუხაროდ, მონაცემთა ბაზა მხოლოდ ქართულ ენაზეა.

სტუ სისტემატიზებას ახდენს და აქვეყნებს თავის ვებ-საიტზე ფაკულტეტებისა და კვლევითი ინსტიტუტების კვლევითი პროექტების შემაჯამებელ ინფორმაციას(http://gtu.ge/Eng/Research-And-Development/achievements/projects-of-scientific-research-centers.php); იგი, ასევე, აქვეყნებს ბიბლიოგრაფიას ინფორმაცია, მათ შორის მისი აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ციტირების ინდექსი (http://gtu.ge/Eng/Research-And-Development/achievements/citation-index-of-academic-and- scientific-personnel.php).

თვითშეფასების ანგარიშის 6.3. ტექსტი მცირეა, თუმცა მას ახლავს უამრავი დამხმარე დოკუმენტი თანდართული ფაილების სახით. საკვირველია, რომ თვითშეფასების ანგარიშის 6.3 მტკიცებულებები/ინდიკატორები წარმოდგენილია შესაბამისი ლინკების გარეშე. სტუ-ს გაკეთებული აქვს RSNSF-დან მიღებული საგრანტო პროექტების და საერთაშორისო გრანტების ანალიზი შედეგებითა და რეკომენდაციებით (თანდართული ფაილები). უნივერსიტეტს გაკეთებული აქვს ფაკულტეტებისა და კვლევითი ინსტიტუტების კვლევითი აქტივობების ანალიზი, მათ შორის ყველა კვლევითი ერთეულის წლიური ანგარიშები და ასევე, გარკვეული დამატებითი ინფორმაცია ისეთ მნიშვნელოვან კვლევით ერთეულებზე, როგორიცაა კიბერნეტიკის, კვანტური ფიზიკის ინსტიტუტი და საინჟინრო ტექნოლოგიებისა და ატომური ინჟინერიის ცენტრი. დოკუმენტების ქართული ვერსიები მოიცავს თანა-ხელმძღვანელობის ხელშეკრულებებს (სტუ-ს დოქტორანტებისათვის) უცხოელი მეცნიერების მიერ ხელმოწერილი. თავად დოკუმენტები

არის ინგლისურ ენაზე. არსებობს ფაილი, რომელიც მოიცავს სტუ-ს პროდუქტიის აღწერას (ქართულად), სურათებით გამოფენებიდან (წარმოდგენილია ბევრი პროდუქტი აღწერილი 6.1.-ში). სტუ რეგულარუკლად მონაწილეობს „ექსპო ჯორჯიაში“.

ეს შეფასებები გამოიყენება კვლევითი აქტივობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. კერძოდ: კვლევითი ინსტიტუტების 3 და 7 წლიანი გეგმების შემუშავებისას; ინოვაციური ტექნოლოგიური პროექტების დაპატენტების სტიმულირებისათვის; ახალი მიზნობრივი პარტნიორების შესარჩევად; ადგილობრივ და საერთაშორისო ტექნოლოგიურ პროექტებში უფრო ინტენსიურად მონაწილეობისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგრანტო ნომინაციის საპროექტო წინადადებების წარდგენის, განხილვისა და შეფასების წესი (უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსებული გრანტები) http://gtu.ge/Eng/Research-And-Development/services-of-scientific-field/grant-regulation-mechanisms.php, (ინგლისური);
- საუნივერსიტეტო გრანტების რეგულირების მექანიზმი http://gtu.ge/Eng/Research-And-Development/services-- scientific-field/grant- ქულების-mechanisms.php, (ინგლისური);
- გრანტების შეფასების დამხმარე მათემატიკური მოდელი (გრანტების მინიჭების ეტაპი) და შეფასების საბოლოო შედეგები და შესაბამისი პროგრამა http://ideametrika.gtu.ge/ (ქართული);
- სტუ-ს სტრუქტურული ერთეულების ფაკულტეტების (კათედრების), კვლევითი ინსტიტუტების წლიური ანგარიშები http://gtu.ge/Science/research/Research_institutes_faculty_scientific_reports.php (Georgian) ans მოკლე ანოტაციები ინგლისურად http://gtu.ge/Eng/Research-And-Development/achievements/budget-
- სტუ-ს ფაკულტეტების და კვლევითი ინსტიტუტების აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ციტირების ინდექსები (პერსონალის ციტირების შესწავლა გათვალისწინებულია ოთხი სისტემით) http://gtu.ge/Eng/Research-And-Development/achievements/citation-index-of-academic-and-scientific-personnel.php (ინგლისური);
- ფაკულტეტების და კვლევითი ინსტიტუტების საერთო აქტივობები;
- შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ მინიჭებული გრანტები http://gtu.ge/Eng/Research-And-Development/achievements/shota-rustaveli-national-science-foundation.php;
- საერთაშორისო გრანტები;
- სტუ-ს შიდა საუნივერსიტეტო გრანტები http://gtu.ge/Eng/Research-And-Development/achievements/internal-university-grants.php;
- საგრანტო პროექტების ანოტაციები;
- შიდა საუნივერსიტეტო გრანტებზე ანგარიშები http://gtu.ge/Science/research/Internl_university_grants.php;
- კვლევითი ინსტიტუტების შედეგების მოკლე ანოტაციები http://gtu.ge/Science/research/saertashoriso_proeqtebi.php (Grorgian);
- უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების კომერციული ღირებულების მქონე დასრულებული საბოლოო პროდუქცია;
- შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის, საერთაშორისო გრანტების, უნივერსიტეტის შიდა გრანტებისა და კომერციული ღირებულების მქონე პროექტების ანალიზი.
- სტუ-ს სამეცნიერო კონფერენციები http://gtu.ge/Eng/Research-And-Development/achievements/conferences-of-gtu.php (ინგლისური)
- ევროპის კვლევებისა და ინოვაციების პროგრამის აღწერა FP7-INCO-2013-9 http://gtu.ge/Science/research/pdf/11kervalishvili_reziume_evrograntebi.pdf
- JINR აქტივობის აღწერა http://gtu.ge/Science/research/pdf/birtvuli_gaertianeba_tavxelidze.pdf (ქართული)
- CERN აქტივობის აღწერა http://gtu.ge/Science/research/pdf/evropuli_centri_atlasi_tavxelidze.pdf (ქართული).

რეკომენდაციები:

- განათავსეთ აკადემიური და კვლევითი პერსონალის CV და პუბლიკაციები ს სია ვებ-გვერდზე.
- ორგანიზება გაუკეთეთ Google Scholar პროფილის შექმნას კვლევითი პერსონალისათვის.
- ჩართეთ ჟურნალის იმპაქტ-ფაქტორი (Scopus იმპაქტ-ფაქტორი ან ISI იმპაქტ-ფაქტორი) სტუ-ს მონაცემთა ბაზის კვლევითი სტატიების ბიბლიოგრაფიულ აღწერაში (http://science.gtu.ge/).

რჩევები:

- თანდართულ ფაილებსა და უნივერსიტეტის ვებ-გვერდებზე არსებული ინფორმაციის მნიშვნელოვანი ნაწილი არ იყო წარმოდგენილი თვითშფასების ანგარიშში. შესაბამისი ვებ-გვერდები არ იყო მითითებული. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს თვითშეფასების ანგარიშის შედგენას.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი

იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსები
• დაწესებულებას გააჩნია ან მის მფლობელობაშია მატერიალური რესურსები (ფიქსირებული და მიმდინარე აქტივები), რომლებიც გამოიყენება დაწესებულების მისიისა და მიზნების მიღწევისთვის, ადეკვატურად პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება მოქმედი სტუდენტებისა და დაგეგმილი ჩარიცხვების არსებულ რაოდენობას. • უსდ-ში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისთვის შესაფერისი გარემო: სანიტარული ობიექტები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობები და ცენტრალური გათბობის სისტემა. • დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. • დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუ-ს თვითშეფასების ანგარიშში არაა მოცემული მნიშვნელოვანი ინფორმაცია მატერიალურ რესურსებზე, ბიბლიოთეკაზე, საინფორმაციო და ფინანსურ რესურსებზე. ეს საინფორმაციო ნაპრალი შევსებულ იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე ვიზიტისას და ინტერვიუებისას. თუმცა, თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია ბევრ საკითხში განსხვავდება ინტერვიუების შედეგებისაგან. გარდა ამისა, გასაუბრების ყველა მონაწილე არ იყო კარგად ინფორმირებული სტუ-ში მიმდინარე პროცესების თაობაზე და რიგ შემთხვევებში მოწოდებული ინფორმაცია იყო ურთიერთსაწინააღმდეგო.

დამხმარე დოკუმენტაციით ანალიზით გამოვლინდა, რომ მატერიალური რესურსები - ფიქსირებული და ლიკვიდური აქტივები
-სტუ-სი არის ინსტიტუციის კანონიერი საკუთრება და არსებითად ემსახურება უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევით მიზნებს, რომელიც მოიცავს დიდი დიაპაზონის დისციპლინებს დაწყებულს ინჟინერიიდან, დამთავრებულს სამართლითა და ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებებით. მატერიალური რესურსები შეესაბამება არსებულ და დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას.

სტუ-ს მფლობელობაში არსებული შენობების ნუსხა ძალიან შთამბეჭდავია და იგი შეიძლება განხილულ იქნეს ინსტიტუციის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ. ექსპერტთა ჯგუფმა მოინახულა სხვადასხვა ფაკულტეტის 9 შენობა, ლაბორატორიებისს და სამკითხველოების დიდი დიაპაზონით და ასევე, ცენტრალური ბიბლიოთეკა. ადგილზე ვიზიტმა გამოავლინა, რომ შენობებს გააჩნიათ ყველა აუცილებელი სექციები, საგანმანათლებლო და დამხმარე ფართები (რომლებიც განცალკევებულია შენობის ნახაზების შესაბამისად).

მონახულებული შენობების ნაწილი უკვე განახლებულია და შეესაბამება საუკეთესო თანამედროვე სტანდარტებსა და პრაქტიკას, თუმცა, შენობების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ საჭიროებს განახლებას. იმ ფაქტის მიუხედავად, რომ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება დევს ინსტიტუციის სტრატეგიულ გეგმაში, არ არსებობს მკაფიო პასუხი ამისათვის საჭირო ფინანსური რესურსების თაობაზე. ექსპერტთა ჯგუფსესმის საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის სპეციფიკა - არ არსებობს უნივერსიტეტებისათვის ძირითად შესრულებაზე დაფუძნებული დაფინანსება , რაც არ აძლევს უნივერსიტეტებს რეალისტური დაგეგმვის და მდგრადი განვითარების საშუალებას, მაგრამ თუნდაც ასეთი შეზღუდვებითაც კი უფრო ზუსტი სტრატეგიული დაგეგმვის განხორციელებაა შესაძლებელი - საჭიროებების შეფასების, პრობლემის გადაჭრის შესაძლო გზებისა და ფინანსური გათვლების მეშვეობით.

სტუ-ს მონახულებული შენობები - საკლასო ოთახები, სამკითხველოები, ცენტრალური ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები და ა.შ. - აღჭურვილია საგანმანათლებლო და კვლევითი პროგრამებისათვის აუცილებელი სიმძლავრეებით და IT აღჭურვილობით და უზრუნველყოფს ამოცანებისა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას. ინსტიტუცია, ასევე, იძლევა წერილობით მტკიცებულებებს (ხელშეკრულებებს, ინვოისებს, ინვენტარიზაციის მასალებს და სხვ.) რაც ადასტურებს უფლებებს ლიკვიდურ აქტივებზე. ყველა მონახულებულ სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში გამოფენილია უსაფრთხოების წესები და/ან გამაფრთხილებელი ნიშნები კედლებზე. ზოგიერთ შემთხვევაში ვიზიტორებს/სტუდენტებს/პერსონალს ეძლევა სპეციალური დამცავი აღჭურვილობა და ტანსაცმელი.

სტუ-ს გააჩნია ინდივიდუალური უწყვეტი ელექტრო ენერგიის მიწოდების სისტემა, მის შენობებს აქვთ გაყოფილი სანიტარული კვანძები, რომელთაც აქვთ უწყვეტი წყალმომარაგება. სანიტარულ კვანძებში არსებითად დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, მათ აქვთ უწყვეტი ხელოვნური განათება, თუმცა არა აქთ ვენტილაცია (მაგ. შენობები I, II, IV, VI, VIII, X).

ყველა საკლასო ოთახსა და ლაბორატორიას აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათება, გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევებისა, რომლებიც განპირობებულია მათი თავისებურებით (მაგ. მედია-ტექნოლოგიების ლაბორატორია, მეტალურგიის ლაბორატორია, მატერიალური მეცნიერებისა და მეტალის დამუშავების და სხვ.). მონახულებულ შენობებს აქვთ ცენტრალური გათბობის სისტემა; ეს შესაძლოა განხილულ იქნეს სტუ-ს მატერიალური რესურსების ერთ-ერთ ძლიერ მხარედ.

სტუ-ს შემუშავებული აქვს ხანძარსაწინააღმდეგო და უსაფრთხოების, პირველი დახმარებისა და სხვა მექანიზმები. ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობა მისი გამოყენების ინსტრუქციებითურთ განთავსებულია შენობების ყველა სართულზე; ასევეა ოფიციალური, კომპეტენტური ორგანოების მიერ განახლებული საევაკუაციო გეგმები.

შენობებს აქვთ სათადარიგო გამოსასვლელები, თუმცა არც ერთი მათგანი არ შეესაბამება ავტორიზაციის VII სტანდარტის, რაც ნიშნავს, რომ არც ერთი მათგანი არ იღება შიგნიდან გარეთ და მათი უმეტესობა მეტალისაა. უნდა აღინიშნოს, რომ სტუ-ს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები არ გულისხმობს არსებული პირობების გაუმჯობესებას.

სტუ-ს აქვს შესაძლებლობები გაუწიოს პირველადი დახმარება პერსონალსა და სტუდენტებს. ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, პირველი დახმარებისათვის აუცილებელი აღჭურვილობით, ბუნებრივი და ხელოვნური განათებით, ბუნებრივი ვენტილაციით და ცივი წყლის განუწყვეტელი მიწოდებით. მიუხედავად იმისა, რომ ამას ითვალისწინებს ავტორიზაციის სტანდარტი და შესაძლებელია ამის უზრუნველყოფა სტუ-ს მცირე ფინანსური რესურსებით, სამედიცინო კაბინეტში არაა ცხელი წყალი.

სტუ უზრუნველყოფს სტუდენტებსა და პერსონალს უსაფრთხო გარემოთი. ყსაფრთხოების პერსონალი განთავსებულია ყველა შენობაში წესრიგის უზრუნველსაყოფად მთელს პერიმეტრზე, მატერიალური რესურსების დასაცავად და წესრიგის დარღვევაზე დროული რეაგირებისათვის. უსაფრთხოების ვიდეო-კამერები ინსტალირებულია უნივერსიტეტის შიგნით და გარეთ.

სტუ-ს არა აქვს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ადამიანებისადმი ადაპტირებული გარემო (გარდა რამოდენიმე განახლებული შენობისა); ეს უნდა იქნეს განხილული უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის ერთ-ერთ ყველაზე სუსტ მხარედ. ეს საკითხი განხილულ იქნა ფასაუბრებების დროს და ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს უნივერსიტეტის არგუმენტს, რომ პრობლემა გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ სტუ-ს რიგი შენობებისა წარმოადგენს „სახელმწიფოს მიერ დაცულ ისტორიულ ძეგლს“; საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების თანახმად, თავად არქეოლოგიური გათხრის ადგილებიც კი შესაძლოა ადაპტირებულ იქნეს შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანებისათვის.

არსებობს ავტომანქანების სადგომი შეზღუდუელი შესაძლებლობების მქონე პირთათვის, თუმცა მათ არ შეუძლიათ თავისუფლად გადაადგილება შენობის გარშემო. შენობები აღჭურვილია ლიფტებით, მაგრამ მათთან მისვლა შესაძლებელია მხოლოდ კიბის გავლით. უმეტეს შემთხვევებში არაა ადაპტირებული სანიტარული კვანძები. უნივერსიტეტის რეგულაციების თანახმად უსაფრთხოების პერსონალი ვალდებულია უზრუნველყოს შეზღუდუელი შესაძლებლობების მქონე პირები დახმარებით; თუმცა, ეს არ შეიძლება იქნეს განხილული სწავლებისა და სწავლის პროცესის შეუფერხებლად განხორციელებისათვის არსებით ზომად. არსებობს მხოლოდ რამოდენიმე ზოგადი განაცხადი ინფრასტრუქტურის ადაპტაციის თაობაზე შეზღუდუელი შესაძლებლობების მქონე პირებისათვის, მაგრამ ეს საკითხი საჭიროებს შემდგომ დამუშავებას.

მატერიალური რესურსების კუთხით სტუ არ შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტის ზოგიერთ კრიტერიუმს (მაგ. სანიტარული კვანძების საკითხი, სამედიცინო ცენტრი, საგანგებო გამოსასვლელები, შეუსაბამო ინფრასტრუქტურა შეზღუდუელი შესაძლებლობების მქონე პირებისათვის) და არც არსებობს სტრატეგიული ხედვა, კონკრეტული სამოქმედო გეგმები და ფინანსური გათვლები ამ ვითარების გასაუმჯობესებლად; სტუ ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტი 7.1.-ის მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტუ-ს თვითშეფასების ანგარიში;
- ადგილზე ვიზიტი;
- დანართი 1 - ობიექტების ჩამონათვალი ადგილზე ვიზიტისას;
- გასაუბრებები;
- დამხმარე დოკუმენტები: ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ხელშეკრულებები, ინვოისები, გადახდის ბრძანებები, ინვენტარიზაციის მასალები და ა.შ.

რეკომენდაციები:

- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები უნდა განახლდეს მატერიალური რესურსების გათვალისწინებით;
- უნდა ჩატარდეს თითოეული შენობის საჭიროებების შეფასება ავტორიზაციის 7;. სტანდარტის კრიტერიუმებთან მათი შესაბამისობის იდენტიფიცირების მიზნით.
- განახლებული სტრატეგიული და სამოქმედო გაგმები უნდა აწვდიდეს დაინტერესებულ მხარეებს მკაფიო სტრატეგიულ ხედვას, გრაფიკსა და ფინანსურ გათვლებს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების თაობაზე.
- უფრო ეფექტური ზომები უნდა იქნეს გატარებული იმ ნაპრალის შესავსებად და ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის მისაღწევად, რომელიც საჭიროებს ნაკლებ ფინანსურ რესურსებს.

რჩევები: არცერთი
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არცერთი
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
7.2. საბიბლიოთეკო რესურსები
ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუ წარმოადგენს ერთ-ერთ უმდიდრეს უნივერსიტეტს საქართველოში საბიბლიოთეკო რესურსების რაოდენობისა და მასშტაბის მიხედვით (წიგნები, პრიოდული გამოცემები, გაზეთები, გარკვეული იშვიათი და უნიკალური გამოცემები და ა.შ.). ინსტიტუციას აქვს ცენტრალური ბიბლიოთეკა (VIII შენობა) და სხვადასხვა ფაკულტეტების ბიბლიოთეკები/„სამკითხველო დარბაზები“. ბიბლიოთეკით სარგებლობის რეგულაციები შემუშავებულია, დამტკიცებულია და ხორციელდება ავტორიზაციის სტანდარტის 7.2 -ის მოთხოვნების შესაბამისად (ბიბლიოთეკა ღიაა კვირაში 6 დღის - 60 საათის განმავლობაში).

შინაგანაწესმა (ბიბლიოთეკის დებულება, ფაკულტეტების დებულებები და სხვ.) და გასაუბრებების შედეგებმა აჩვენა, რომ სტუ-ს დადგენილი აქვს პროცედურები საბიბლიოთეკო რესურსების განვითარებისა და განახლების თაობაზე. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მოახდინა საბიბლიოთეკო მომსახურებების შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმების იდენტიფიცირება (მაგ. არც სტუდენტების და არც პერსონალის კვლევები, არც ფოკუს ჯგუფები და არც თემატური შეხვედრები/გამოკითხვები არ ხორციელდება), რაც უნდა იქნეს იდენტიფიცირებული, როგორც შემდგომი გაუმჯობესების სფერო.

როგორც ბიუჯეტმა და გასაუბრებებმა გამოავლინა, უნივერსიტეტი უწყვეტად განაახლებს ბიბლიოოთეკის რესურსებს იმისათისმ რომ მიუსადაგოს აკადემიური საზოგადიებისა და სტუდენტთა საჭიროებებს. საბიბლიოთეკო რესურსები უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. ახალი წიგნების შეძენა დამოკიდებულია ფაკულტეტების პერსონალის მოთხოვნებზე.

რადგან კურსების დიდი რაოდენობა ისწავლება წიგნების/ადგილობრივი პერსონალის მიერ მომზადებული და ადგილზე გამოცემული მასალის მეშვეობით, სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში. ის ფაქტი, რომ სასწავლო მასალა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ადვილად მოსაპოვებელია ონლაინ მეთოდით, ძალიან პოზიტიურია, თუმცა აკრედიტაციის პროცესში რიგ შემთხვევებში ამ სასწავლო მასალის ვარგისიანობა უნდა იქნეს შეფასებული საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით.

როგორც ვიზიტმა გამოავლინა, სტუ-ს ბიბლიოთეკებს/“სამკითხველო დარბაზებს“ აქვთ წიგნების არქივები, საოფისე ფართები, პერსონალი, შეხვედრებისა და ჯგუფურად მუშაობის ფართები, IT აღჭურვილობა და ა.შ. აქვეა WI-FI, ინტერნეტთან დაკავშირებული კომპიუტერები, პრინტერები, ასლის გადამღებები და სკანერები. წიგნები/პერიოდული გამოცემები მუშავდება ბიბლიოთეკის რეგულაციების შესაბამისად და მათი მოძიება შესაძლებელია ელექტრონულკატალოგში და ელექტრონული ძიების სისტემაში. სტუდენტებსა და პერსონალს, გარე ვიზიტორებსაც კი, აქვთ საერთაშორისო საბიბლიოთეკო მონაცემთა ბაზებთან ხელმისაწვდომობა, რომელიც საკმაოდ მდიდარია მიუხედავად უნივერსიტეტის შეზღუდული ფინანსური რესურსებისა.

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ამტკიცებს, რომ ბიბლიოთეკის პერსონალი აწვდის სტუდენტებსა და თანამშრომლებს ინფორმაციას არსებული რესურსებისა და შეთავაზებული მომსახურებების თაობაზე; და რომ ბიბლიოთეკარებს აქვთ სათანადო კომპეტენცია მომხმარებალთა დასახმარებლად საერთაშორისო საბიბლიოთეკო მონაცემთა ბაზების გამოყენებაში, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა ამ განაცხადის მეტად მცირე დამადასტურებელი მტკიცებულება. მაგალითად, ფაკულტეტების ე.წ. „სამკითხველო დარბაზებიდან“ ვერც ერთში, ბიბლიოთეკარმა ვერ შეძლო ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილი პერიოდული გამოცემის მოძიება. ზოგიერთ ბიბლიოთეკს არ ჰქონდა ინფორმაცია არსებულ საერთაშორისო საბიბლიოთეკო მონაცემთა ბაზებზე. მხოლოდ ცენტრალურ ბიბლიოთეკაში შეძლო ბიბლიოთეკარმა, გარკვეული ძალისხმევის შემდეგ, გაეწია საჭირო დახმარება.

მოწოდებული სტატისტიკის თანახმად, საერთაშორისო საბიბლიოთეკო მონაცემთა ბაზები მნიშვნელოვნად გამოიყენება სტუ-ში. პოზიტიური სტატისტიკის მიუხედავად, გასაუბრების მონაწილე აკადემიური, მოწვეული, კვლევითი ინსტიტუტების პერსონალიდან და სტუდენტებიდან მხოლოდ ერთმა თუ ორმა განაცხადა, რომ იყენებდა ამ ბაზებს

სხვადასხვა პერიოდული გამოცემების გამოსაყენებლად მათ სამეცნიერო მუშაობაში. ეს ნიშნავს, რომ არსებობს ინფორმაციის ნაკლებობა არსებული შესაძლებლობების თაობაზე, რამაც შესაძლოა ნეგატიური გავლენა იქონიოს კვლევებისა და სადოქტორო სწავლების ხარისხზე. უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთ ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებაში დაცულ სადოქტორო ნაშრომში, რომელთა შემოწმება მოხერხდა ვიზიტის პერიოდში, არ იყო გამოყენებული უახლესი პერიოდული გამოცემების მასალა, რომელიც მოიპოვება საერთაშორისო საბიბლიოთეკო მონაცემთა ბაზებში.

ადგილზე ვიზიტის შედეგად მიღებული გამოცდილებით, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ აქ არის მეტწილად შესაბამისობა სტანდარტი7.2.-ის მოთხოვნებთან.

სრული შესაბამისობის მისაღწევად ბიბლითეკის „სამკითხველო დარბაზის“ პერსონალი უნდა გადამზადდეს საერთაშორისო საბიბლიოთეკო მონაცემთა ბაზების სარგებლობის საკითხებში. უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების ადმინისტრაციების მიერ მიღებულ უნდა იქნეს სპეციალური ზომები აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის, ისევე როგორც სტუდენტების ცნობიერების ამაღლებისათვის საერთაშორისო საბიბლიოთეკო მონაცემთა ბაზების გამოყენებაში. ამ ორმა ნაბიჯმა შესაძლოა წვლილი შეიტანოს საბიბლიოთეკო რესურსების უფრო ეფექტურ და ეფექტიან გამოყენებაში, რომლებიც იქნება შეძენილი უნივერსიტეტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთობლივი ძალისხმევით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტუ-ს თვითშეფასების ანგარიში;
- ადგილზე ვიზიტი;
- გასაუბრებები;
- სტუ-ს ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი;
- სტუ-ში ხელმისაწვდომი საერთაშორისო საბიბლიოთეკო მონაცემთა ბაზები;
- დამხმარე დოკუმენტები; უნივერსიტეტის ბიუჯეტი, ბიბლიოთეკის წესდება.

რეკომენდაციები:

- ბიბლითეკის „სამკითხველო დარბაზის“ პერსონალი უნდა გადამზადდეს საერთაშორისო საბიბლიოთეკო მონაცემთა ბაზების სარგებლობის საკითხებში;
- უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების ადმინისტრაციების მიერ მიღებულ უნდა იქნეს სპეციალური ზომები აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის, ისევე როგორც სტუდენტების ცნობიერების ამაღლებისათვის საერთაშორისო საბიბლიოთეკო მონაცემთა ბაზების გამოყენებაში;
- სტუდენტებისა და პერსონალის კვლევები, ფოკუს ჯგუფები უნდა იქნენ ორგანიზებული, რათა გაიზომოს სტუდენტებისა და პერსონალის კმაყოფილება საბიბლიოთეკო მომსახურებების განვითარებით. შეფასების შედეგები უნდა იქნეს გამოყენებული სტრატეგიული დაგეგმვისა და ხარისხის კულტურის განვითარებისათვის.

რჩევები:

არცერთი

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არცერთი

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.3 საინფორმაციო რესურსები

- უსდ-მ შექმნა ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მისი ადმინისტრირება და მასზე ხელმისაწვდომობა არის უზრუნველყოფილი
- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.
- უსდ უზრუნველყოფს საქმიანობის უწყვეტობას
- უსდ-ს აქვს მოქმედი ვებგვერდი ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი
„ინფორმაციული მომსახურებები“ წარმოადგენს ერთ-ერთ საუკეთესოდ შემუშავებულ ნაწილს სტუ-ს თვითშეფასების ანგარიშში. გარდა ამისა, ადგილზე ვიზიტმა და გასაუბრებებმა გამოავლინა, რომ უნივერსიტეტს აქვს ადამიანური რესურსების და ICT ინფრასტრუქტურის განვითარების კარგი შესაძლებლობა. სტუ-ს აქვს კარგად განვითარებული და წარმატებით დანერგილი IT ინფრასტრუქტურა, სრულ შესაბამისობაში უნივერსიტეტის საქმინობის პროცესებთან, IT რისკების მენეჯმენტთან და მონაცემთა დაცვასთან. ადგილზე ვიზიტისას წამოჭრილი ერთადერთი კითხვა ეხებოდა თითის ანაბეჭდების გამოყენებას პერსონალის მიერ მონიტორინგის მიზნებში, მაგრამ

პასუხისმგებელი პირების ახსნა-განმარტება ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა დამაკმაყოფილებლად (უნივერსიტეტის ადმინისტრაცია იყენებს თითის ანაბეჭდებს მხოლოდ პერსონალის თანხმობის შემთხვევაში). თუ პერსონალს აქვს რაიმე საწინააღმდეგო - თითის ანაბეჭდებს არ იღებენ).

სტუ-ს IT-ს ინფრასტრუქტურა მოიცავს კომპიუტერულ და სპეციალიზებულ ლაბორატორიულ აღჭურვილობას, ისევე, როგორც შესაბამის პროგრამებს, რომლებიც ადვილად ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის, აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისათვის.

როგორც გასაუბრებებმა და ადგილზე ვიზიტმა გამოავლინა, სტუ ეფექტურად და ეფექტიანად იყენებს შემდეგ ელექტრონულ სერვისებსა და სისტემებს: ელექტრონულ ფოსტას, ინტერნეტს, WI-FI, Microsoft-ის ლიცენზირებულ პროგრამებს, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონულ სისტემას, ლექტორთა რეგისტრაციის სისტემას, სასწავლო პროცესის მენეჯმენტისა და დიპლომების გაცემის ერთიან ავტომატიზებულ სისტემას, ისევე, როგორც სასწავლო ცხრილების შედგენის სისტემას, ბუღალტრული აღრიცხვის ავტომატიზებულ სისტემას, ელ-სწავლისა და ელექტრონულ/ონლაინ გამოცდებს MOODLE-ის მეშვეობით, ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებზე სტუდენტთა ელექტრონული გამოკითხვების, "strike plagiarism" და ა.შ. ვინაიდან საქართველოში არის 70-მდე ავტორიზირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და ყველა მათგანი საჭიროებს ავტომატიზებულ ელექტრონულ სისტემებს სასწავლო პროცესის მენეჯმენტისათვის, სტუ-ს პერსონალის წარმომადგენლებს~მა შესაძლოა განიხილონ საკითხიმათ მიერ შემუშავებული და დანერგილი ელექტრონული სისტემის კომერციალიზაციის თაობაზე.

უნივერსიტეტის ვებ-საიტი მეტად ინფორმატიულია (რეგულარყლად განახლებადი) ქართულ ენაზე და საკმაოდ ინფორმატიული ინგლისურ ენაზე. ვებ-გვერდი მოიცავს ყოვლისმომცველ ინფორმაციას უნივერსიტეტის მისიის, სტრატეგიის, სტრუქტურის, საგანმანათლებლო და კვლევითი აქტივობების შესახებ, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგებს, სტუდენტთა შეფასების სისტემას, საერთაშორისო თანამშრომლობას, სწავლებისა და სწავლის მართვას, სხვადასხვა შიდა რეგულაციებს და სხვ. ვინაიდან ინსტიტუცია სთავაზობს პროგრამებს რუსულ ენაზე, შესაბამისი ინფორმაცია ვებ-საიტზე უნდა იყოს გამოქვეყნებული რუსულადაც. მხოლოდ ძალიან მწირი ინფორმაციაა შეიძლება იქნეს მოძიებული რუსულენოვანი პროგრამების თაობაზე ინგლისურ ვებ-გვერდზე, მაგრამ არც სტუდენტები და არც ადმინისტრაციის წარმომადგენლები არ არიან ინფორმირებულნი ამის თაობაზე. ამიტომ, რუსულენოვან სტუდენტებთან ეფექტიანი კომუნიკაციის მიღწევისა და სასწავლო პროცესის მენეჯმენტის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, რეკომენდებულია უნივერსიტეტის ვებ-საიტის რუსულ ენაზეც გაკეთება.

ექსპერტთა ჯგუფის თვალსაზრისით, სტუ სრულ შესაბამისობაშია სტანდარტი 7.3.-ის მოთხოვნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტუ-ს თვითშეფასების ანგარიში;
- ადგილზე ვიზიტი;
- გასაუბრებები;
- არსებული ელექტრონული სისტემებისა და მომსახურებების ადგილზე შემოწმება;

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

- რუსულენოვან სტუდენტებთან ეფექტური კომუნიკაციის მიღწევისა და სასწავლო პროცესის მენეჯმენტის ხარისხის გაზრდის მიზნით, შეთავაზებულ იქნა უნივერსიტეტის რუსულენოვანი ვებ-საიტის შექმნა.
- საქართველოში 70-მდე ავტორიზებული უმაღლესი სასწავლო დაწესებულებაა და ყველა მათგანი საჭიროებს ავტომატიზებულ ელექტრონულ სისტემას სასწავლო პროცესის მენეჯმენტისათვის. სტუ-ს პერსონალის წარმომადგენლებმა შესაძლოა განიხილონ მათ მიერ უკვე შემუშავებული და უნივერსიტეტში დანერგილი ელექტრონული სისტემის კომერციალიზაციის საკითხი.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არცერთი
7.4 ფინანსური რესურსები
• უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.

- უსდ-ს ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული და საშუალო ვადიანი სამოქმედო გეგმების ფარგლებში აღწერილი საქმიანობების შესრულებას.
- უსდ-ს ფინანსური რესურსები ფოკუსირებულია დაწესებულების ძირითადი აქტივობების ეფექტურ შესრულებაზე.
- უსდ-ს ბიუჯეტი უზრუნველყოფს კონკრეტული კვლევების, ბიბლიოთეკის ფუნქციონირებისა და განვითარების დაფინანსებას.
- უსდ-ს გააჩნია ანგარიშგების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტიანი სისტემა

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუ-ს ფინანსური რესურსები გაანალიზდა საქართველოს კანონმდებლობისა და უმაღლესი განათლების დაფინანსების პოლიტიკის ფარგლებში, ზემოაღნიშნული ფაქტორებით გამოწვეული საკითხებისა და შეზღუდვების გთვალისწინებით.

უნივერსიტეტის პერსონალისა და ადმინისტრაციის მხრიდან მცირე დამატებითი ძალისხმევით, ადგილობრივი პროფესორებისა და მეცნიერების მიერ შესრულებული მეტი პროდუქტი და გამოყენებითი კვლევები შეიძლება იქნეს კომერციალიზებული. რისკების მენეჯმენტის პრობლემასთან დაკავშირებით, არც თვითშეფასების ანგარიშში და მისი დამხმარე დოკუმენტაციაში, არც გასაუბრებების შედეგად არ გამოვლენილა უნივერსიტეტის მკაფიო ხედვა ამ საკითხთან დაკავშირებით.

არსებობს სტუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა და სამოქმედო გეგმები, რომლებმაც -ავტორიზაციის სტანდარტი 1.2. თანახმად - სტრატეგიული მიზნების მისაღწევად უნდა უზრუნველყონ ინფორმაცია ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების თაობაზე. მუშა ჯგუფის მიერ შემუშავებულ და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ სამოქმედო გეგმაა არა აქვს დაგეგმილი აქტივობების ფინანსური გაანგარიშებები. ეს ნიშნავს, რომ ინსტიტუციას არა აქვს გათვალისწინებული ადეკვატური და არსებითი ფინანსები სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში გათვალისწინებული აქტივობების ეფექტიანად განსახორციელებლად. სტანდარტი 7.4-ის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად საჭიროა სამოქმედო გეგმის არსებითად შეცვლა.

ბიუჯეტში აღწერილი ფინანსური რესურსების განაწილება ფინანსურად მიღწევადია, მაგრამ არ არსებობს სანდო მტკიცებულება, რომ ფინანსური რესურსები უზრუნველყოფენ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი აქტივობების მდგრადობას და შემდგომ განვითარებას ფინანსირების არსებული სისტემის „ფული მოყვება სტუდენტს“ გამო. ეს ნიშნავს, რომ სტანდარტი 7.4-ის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საჭიროა უნივერსიტეტს და სამთავრობო დაინტერესებულ მხარეებს შორის ეფექტიანი კომუნიკაცია და ერთობლივი ძალისხმევა, ასევე, საჭიროა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების გატარება.

სტუ-ს ფინანსური რესურსები შეძღუდულია; ეს დადგინდა რამდენჯერმე გასაუბრებების პროცესში. ამავდროულად, უნივერსიტეტს არა აქვს იდენტიფიცირებული პრიორიტეტული მიმართულებები. სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად, ყველა დარგი თანაბრად პრიორიტეტულია; ეს არაა რეალისტური ხედვა. ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი გამოყოფილის პერსონალის ხელფასებზე და ნაკლები დაფინანსებაა ინსტიტუციურ განვითარებასა და კვლევით აკტივობებზე. ამიტომ, უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნების მიღწევა, ისევე, როგორც სწავლებისა და კვლევების მიზნებისა და დაგეგმილი შედეგების მიღწევა არსებული ფინანსირების პირობებში - დგას კითხვის ნიშნის ქვეშ. ბიუჯეტის ანალიზმა და გასაუბრებებმა გამოავლინა, რომ უნივერსიტეტი გამოყოფს დაფინანსებას ბიბლიოთეკის ოპერირებასა და უწყვეტ განვითარებაზე და სტუდენტთა და პერსონალის მონაწილეობაზე კონფერენციებში, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მოიძია მტკიცებულება საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების დაფინანსებაზე.

სტუ-ში მოქმედებს სამენეჯმენტო და საფინანსო ანგარიშგების სისტემები, საქართველოს კანონის უმაღლესი განათლების შესახებ და უნივერსიტეტის წესდების მოთხოვნების შესაბამისად. რაც შეეხება რესურსების კანონიერ, გამჭვირვალე, ეკონომიკურ, ეფექტურ და პროდუქტიულ გამოყენებას, კანონიერება და გამჭვირვალობა უზრუნველყოფილია უწყვეტი ანგარიშგებისა და გარე ფინანსური აუდიტის მიერ, თუმცა ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზომვა შეუძლებელია, რადგან არ არსებობს ზირითადი შესრულების ინდიკატორები (KPI), რომლებიც გამოიყენება სტრატეგიული დაგეგმვის და/ან უნივერსიტეტის მართვის პროცესში.

როგორც დამხმარე დოკუმენტებმა გამოავლინეს, სტუ-ს ფინანსური ანგარიშები აკმაყოფილებენ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს, ისინი სწორია, სამართლიანი და ყოვლისმომცველი. სააუდიტორო კომპანიის ანგარიში, შესაბამისი დანართებით წარედგინა ექსპერტთა ჯგუფს.

ექსპერტთა ჯგუფის თვალსაზრისით, სტუ ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის 7.4 მოთხოვნებთან შემდეგი მიზეზების გამო: არა აქვთ რისკების მენეჯმენტის სისტემა, არ ხდება ფინანსური გათვლები სამოქმედო გეგმაში (ეს ნიშნავს ფინანსური ასპექტის მტკიცებულების არარსებობას სტრატეგიული მიზნების მისაღწევად), უმნიშვნელო ფინანსირება „განუსაზღვრელი“ პრიორიტეტებისათვის, განხორციელების გაზომვადი

ინდიკატორების არარსებობა (ეს არის მტკიცებულების არარსებობა რესურსების პროდუქტიულ და ეფექტიან მოხმარებაზე).
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● სტუ-ს თვითშეფასების ანგარიში; ● გასაუბრებები; ● უსდ-ს ბიუჯეტი; ● ფინანსური ანგარიშები;

• გარე აუდიტის ანგარიშები.
რეკომენდაციები: • უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმა საჭიროებს გადახედვას, რათა შეტანილ იქნეს დაგეგმილი აქტივობების ფინანსური გათვლები, ისევე, როგორც შესრულების ძირითადი მაჩვენებლები. • ეფექტური და ეფექტიანი რისკების მენეჯმენტის სისტემა უნდა იქნეს შემუშავებული და განხორციელებული. • საგანმანათლებლო და სამეცნიერო აქტივობების პრიორიტეტული სფეროები უნდა იქნეს იდენტიფიცირებული არსებული ფინანსური რესურსების გათვალისწინებით.
რჩევები: • უნივერსიტეტის პერსონალისა და ადმინისტრაციის მხრიდან მცირე დამატებითი ძალისხმევით, ადგილობრივი პროფესორებისა და მეცნიერების მიერ შესრულებული მეტი პროდუქტი და გამოყენებითი კვლევები შეიძლება იქნეს კომერციალიზებული.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან